ხობის მოამბე

„თვითმმართველობა უძველესი წესჩვეულებაა ხალხის ყოველდღიური საქმიანობისა. საკუთარ ეზოდან დაიწყეთ, ეზო ყველანაირ ხელობის... ყოველი სახელმწიფოა, თავისუფალ ადგილად თუ მივცემთ დაავადებული, ხანგრძლივ-ხანგრძლივად ამის დაყოფილია, ვინმე მოვა და ანგრევენაც ადგილი იყოს.“

№7 (7110) 17 ივლისი,
ოთხშაბათი, 2019 წელი.
ფასი 0,70 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

2020 წლის საპარლამენტო არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდება

„პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის განცხადება

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, ფართომასშტაბიანი პოლიტიკური რეფორმის ინიციატივით გამოდის:

2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს პროპორციული სისტემით, ნულოვანი, ვიმეორებ, ნულოვანი საარჩევნო ბარიერის პირობებში.

საზოგადოებას მოეხსენება, რომ სწორედ „ქართული ოცნება“ იყო იმ საკონსტიტუციო რეფორმის ინიციატორი, რომლის ფარგლებშიც გადაწყდა, რომ საპარლამენტო დემოკრატიის პირობებში, არჩევნების პროპორციული სისტემა უკეთ პასუხობს ხელისუფლებაში მრავალპარტიული და, შესაბამისად, პლურალისტური პოლიტიკური წარმომადგენლობის ევროპულ სტანდარტს.

თუმცა, იქვე დადგინდა, რომ ამ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა უფრო სწორი, 2024 წელს იქნებოდა, რადგან პარტიების გაძლიერებას, მათ კრისტალიზაციას ღირებულებების გარშემო, მეტ კონსოლიდაციას და კონკურენტუნარიანობის გაზრდას გარკვეული წლები კიდევ სჭირდებოდა. სწორედ ამიტომ განისაზღვრა, კონსტიტუციით გარანტირებული საარჩევნო რეფორმის ოპტიმალურ ვადად 2024 წელი, მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც დღეს მოქმედი შერეული საარჩევნო სისტემა არის აბსოლუტურად დემოკრატიული, გამართული და აპრობირებულია არაერთ ტრადიციული დემოკრატიის ქვეყანაში.

მაგრამ ცხოვრებას თავისი კორექტივები შეაქვს ყველაფერში და ნებისმიერი პასუხისმგებლიანი მმართველი პოლიტიკური ძალის ვალია, იყოს ადეკვატური ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევებისა და, რაც მთავარია, ესმოდეს საზოგადოების მაჯისცემა.

დღეს ყველა ვხედავთ, რომ საზოგადოება ცვლილებებს ითხოვს. ჩვენი ინიციატივა კი, სწორედ ფართომასშტაბიანი პოლიტიკური ცვლილების საფუძველს იძლევა.

საზოგადოების ამ სულისკვეთებასთან თანხვედრაშია ჩვენი პოლიტიკური გუნდის სურვილიც, ნებაყოფლობით ვთქვათ უარი იმ სასტარტო უპირატესობაზე, რაც შერეული საარჩევნო სისტემის პირობებში ბუნებრივად გააჩნია „ქართულ ოცნებას“.

ჩვენ გთავაზობთ, პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას. იმავდროულად, ნულზე ჩამოგვყავს, ანუ სრულად ვაუქმებთ დღეს არსებულ პროცენტულ ბარიერს და იმედი გვაქვს, რომ ამ გზით, 2020 წელს მივიღებთ პარლამენტს, სადაც თითქმის ყველა პოლიტიკური აქტორი და ამ ქვეყნის მთელი ინტელექტუალური პოტენციალი იქნება წარმოდგენილი,–განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის ანგარიში

4-9

საზოგადოება „ნაციონალური მოძრაობის“ პროვოკაციულ ქმედებებს არ უნდა აყვეს

პარლამენტის წევრი, ირაკლი (დაჩი) ბერაიას შეფასებით, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაგეგმილი პროვოკაციული ქმედებები ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ნეგატიურად აისახება. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს პარლამენტიდან აცნობეს.

ირაკლი ბერაიას განცხადებით, ეკონომიკის განვითარებას, ინვესტიციების მოზიდვას და ლარის კურსის სტაბილურობას ქვეყნის სტაბილური ვითარება და პოზიტიური მოლოდინი სჭირდება. მისივე თქმით, ნებისმიერი სახის დესტრუქცია მოქმედებს როგორც ინვესტიციებზე, ასევე ლარის კურსის გაუფასურებაზე.

„დღეს ქვეყანაში ვხედავთ სიტუაციას, როდესაც „ნაციონალური მოძრაობა“ სხვადასხვა საშუალებით ცდილობს მიზნის მიღწევას, რასაც ხელისუფლების და ძალაუფლების ხელში ჩაგდება წარმოადგენს და ამისთვის ისინი ანტისახელმწიფოებრივ და ქვეყნისთვის საზიანო ქმედებებს ახორციელებენ.

ამ დღეებში, რუსეთის მხრიდან სანქციების არ დაწესება, საქართველოსთვის შვებით ამოსუნთქვის საფუძველი გახდა და ეს ყველასთვის მისაღები იყო, გარდა „ნაციონალური მოძრაობისა“, რადგან მათი ინტერესია, რომ ქვეყანა რთულ ეკონომიკურ ვითარებაში იყოს.

ჩვენ ვხედავთ, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ თავისი განშტოებებით და ტელევიზიით, იმის ნაცვლად, რომ ინვესტიციები შემოდიოდეს, ურჩევნიათ ჭურვები ცვიოდეს ქვეყანაში, რუსი ტურისტების შემოსვლას, რუსი ჯარისკაცების შემოსვლა ურჩევნიათ. როდესაც ქვეყანაში კონკრეტული ძალა ცდილობს პოზიტიური ძვრების ნაცვლად დესტაბილიზაციის კერები შექმნას და ამისთვის ყველაფერს აკეთებს, ეს ეკონომიკაზე და ინვესტიციებზე მოქმედებს.

მოვუწოდებ საზოგადოებას, არ აყვეს იმ პროვოკაციებს, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ გეგმავს, რადგან მათ, როგორც პოლიტიკურ ძალას, პასუხისმგებლობა არ გააჩნიათ. ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ეს კიდევ ერთხელ ცხადყო“,–აცხადებს **ირაკლი ბერაია.**

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ ბრუნდება

2019-2020 სასწავლო წლიდან იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ სკოლებში ადაპტირებული ვერსიით დაბრუნდება და არსებულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსი გახდება. ამასთან დაკავშირებით ღონისძიება სოფელ ვარიანში პრემიერ მინისტრმა მამუკა ბახტაძემ გამართა.

პრემიერის განცხადებით, ახალი სასწავლო წლიდან ყველა პირველკლასელი „დედა ენას“ უფასოდ მიიღებს.

სახელმძღვანელოს ადაპტირებული ვერსია საქართველოს პარლამენტის ინიცირებითა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიხეილ ბატიაშვილის ბრძანებით შექმნილმა ექსპერტთა სპეციალურმა კომისიამ შეიმუშავა და მას ყველა საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლე უფასოდ მიიღებს.

ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი 2013 წელს მიენიჭა, ხოლო ეროვნული კატეგორია 2014 წელს განესაზღვრა.

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე, სამინისტრომ ქართული საანბანე სახელმძღვანელო იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდით მოამზადა. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, შეიქმნა ისეთი სახელმძღვანელო, რომელიც, ერთი მხრივ, ეროვნულ და კულტურულ საფუძველს, ხოლო, მეორე მხრივ კი, სწავლების თანამედროვე მეთოდებს დაეფუძნა.

იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ უკანასკნელი გამოცემის ადაპტირება მოხდა ისე, რომ შენარჩუნდა ავტორის ძირითადი მეთოდები, პრინციპები, მასალა და თანამედროვეობას დაუახლოვდა. არქაული ლექსიკა ნაწილობრივ შეიცვალა, თუმცა ძირითადი ლექსიკა, რაც დღესაც გამოიყენება, სახელმძღვანელოში დარჩა.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა.

სხდომას საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელი პირები, მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში და იურიდიული პირების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

სხდომაზე განხილულიქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (უზუფრუქტის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“, რომლის თანახმადაც ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე საბრძოლო დიდებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, მისი მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების მიზნით, უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით, გადაეცა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრს.

სხდომაზე ასევე განხილულიქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის (უზუფრუქტის ფორმით) უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“, რომლის საფუძველზეც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოთხოვნით ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“ არსებობის ვადით, სარგებლობის უფლებით, (უზუფრუქტის ფორმით) გადასცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ხობში ცოტნე დადიანის ქ. 189-ში მდებარე შენობის მე-3 სართულზე 33,9 კვ.მ ფართი.

სხდომაზე ასევე ხობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ საკრებულოს წევრებს 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინა.

მერმა დეტალურად ისაუბრა 2018 წელს დაგეგმილ და განხორციელებულ პროექტებზე.

საკრებულოს წევრების მხრიდან დაისვა შეკითხვები წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით.

დებატების დასრულების შემდეგ მერიის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობა შეფასდა დამაკმაყოფილებლად, რის შემდეგაც საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

მუნიციპალიტეტის მერმა სამუშაო შეხვედრა გამართა

ხობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ დაფინანსებულ პროექტებზე, პროგრამის „დანერგე მომავალი“–კენკროვანი კულტურების ქვეკომპონენტში შესულ ცვლილებებზე, ადმინისტრაციული ერთეულების პოტენციალის შეფასების და განვითარების გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრეს.

შეხვედრას მერის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა და მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ანტონ ვარდია ესწრებოდნენ.

საინფორმაციო სახის შეხვედრები საჯიჯაოსა და ნოჯიხევში

ხობის მუნიციპალიტეტის მერი, გოჩა ქაჯაია და ა(ა)იპ „სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს“ ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელი, ანგულ მიქავა საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ და მრავალწლიანი კულტურების ბაღებში გასატარებელ აგრო–ტექნოლოგიურ ღონისძიებებზე და პროგრამაში „დანერგე მომავალი“ კენკროვანი კულტურების ქვეკომპონენტში შესულ ცვლილებებზე ისაუბრეს.

კენკროვანი კულტურების ქვეკომპონენტი 0.15 ჰა-დან 0.5 ჰა-ს ჩათვლით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე კენკროვანი კულტურის ბაღის გაშენებისათვის საჭირო ნერგების, წვეთოვანი სარწყავი სისტემის და სხვა საჭირო მასალების შეძენისა და მოწყობის ღირებულების 100% დაფინანსებას ითვალისწინებს,

* * *

ა(ა)იპ „პროექტების მართვის სააგენტოს“ ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი აგრძელებს შეხვედრებს ადგილობრივ მოსახლეობასთან. ცენტრის თანამშრომლებმა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარის მოადგილე გოჩა სიჭინავასთან ერთად ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში, ადგილობრივ ფერმერებთან შეხვედრა გამართეს, სადაც ისაუბრეს 2019 წელს აზიური ფარასანას წინააღმდეგ დაგეგმილ ღონისძიებებზე; მრავალწლიანი კულტურების ბაღებში გასატარებელ აგროტექნოლოგიური ღონისძიებებზე; პროგრამაში „დანერგე მომავალი“ კენკროვანი კულტურების ქვეკომპონენტში შესულ ცვლილებებზე.

ცვლილებების თანახმად, კენკროვანი კულტურების თანადაფინანსების ქვეკომპონენტის ფარგლებში, კენკროვანი კულტურების გაშენება შესაძლებელია დაფინანსდეს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქში შემდეგი თვითმმართველი ქალაქების–(თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი და ფოთი)–გარდა.

თორსა-დღვაბაში გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ხობის მუნიციპალიტეტის თორსა-დღვაბის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საბუკიოში გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. პროექტი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი სახელშეკრულებო ღირებულება 587130 ლარს შეადგენს.

* 1.2–კილომეტრზე დაიგება ცემენტ-ბეტონის საფარი.

* ამოიწმინდება სანიაღვრე არხები.

* მოეწყობა რკინა-ბეტონის მილები.

* სამუშაოს შპს „ბილდინგ გრუპ 17“ აწარმოებს.

შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის პროცესს ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია და მერის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა გაეცნენ.

2018 წელს, თორსა-დღვაბაში რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, 5-კილომეტრიანი გზის რეაბილიტაცია (ცემენტ-ბეტონის საფარის დაგება) განხორციელდა.

რეზო თოდუა-80

მრავალჟამიერ, მისი სიმღერა!..

ის ხობში–პირველ მაისში დაიბადა და გაიზარდა, რკინიგზის პირას. პატარა ბიჭი იყო, როცა რკინიგზის სიახლოვეს ჩამოჯდებოდა და მღეროდა. ადრეულ ასაკში ჩონგურზე დაკვრაც ისწავლა.

თოდუების გვარი კარგად მღერის. ერთ-ერთი მათგანი რეზო თოდუა გახლავთ, რომელმაც თავისი ცხოვრების მეგზურად სიმღერა აირჩია. ის დღემდე, 80 წლის ასაკშიც მღერის თავისი ტკბილი ხმით და მსმენელთა ყურადღებას იქცევს.

როცა ბატონ რეზოს შეეკითხებით, უსათუოდ ასე გეტყვით:

–ეს ჩემგან ტრადიციის თაყვანისცემაა. ტრადიცია კი სიმღერისადმი ტრფიალი გახლავთ.

–მე კარგად მახსოვს, როცა გლეხი ყანაში სათოხნად მიდიოდა და დღესაც მიდის მხარზე თოხგადაკიდებული, ღიღინებს და ფართობში მღერის ტკბილ, მომაჯადოებელ მეგრულ მელოდიებს. მეც ასე ვარ, მიყვარს სიმღერა და მეღიღინება მუდამ. მეგრული სიმღერა ვის არ მოსწონს და ვინ არ მღერის ამ ჰარმონიულ, დამაჯერებელი სისადავით გამორჩეულ მელოდიებს, თუნდაც ხობის საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“ ამის ნათელი დადასტურებაა. დღეისდღეობით მსოფლიოში ძალიან ბევრი ეროვნების ადამიანი მღერის მეგრულ სიმღერებს. მახარებს, რომ ამ ფესტივალის სულისჩამდგმელი ჩემი თანასოფლელი, დიდი მეცენატი ადამიანი გოდერძი ბუკია გახლავთ.

ამ დღეებში 80 წლის გავხდი. დიდი პატივისცემითა და სიყვარულით მიმიწვიეს ხობის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში. იქ ჩემი მეგობრები „შვიდკაცას“ ძველი და ახალი თაობის ადამიანები დამხვდნენ. სიხარულს ვერ ვმალავდი, როცა ვნახე სამსახურის ადმინისტრაციის ხელმძღვანელები და ყველა ისინი, ვინც მე მიყვარს და ვისაც ვუყვარვარ. უდიდესი მადლიერებით აღვივსე ყველას მიმართ და ფოტოებიც გადავიღეთ. ეს დღე საოცრად თბილი და დაუვიწყარი იყო და იქნება ჩემს ცხოვრებაში.

მეგრული სიმღერა ჩონგურთან გაჯერებული, რბილი, საოცრად მელოდიური მოსასმენია, მას ბევრი მიმდევარი და გულშემატკივარი ჰყავს. მღერიან ჩემი ოჯახის წევრებიც... სიმღერა სიხარული და დიდი სიამოვნებაა. ღმერთმა ნუ მოგვაკლოს სიმღერა და სიხარული ხობელებო!

...მე ჩემს კოლეგებთან ერთად ვეთანხმები და სიყვარულით ვუერთდები მას. ღმერთმა ქნას და კიდევ ათეული წლები ემღეროს და ჩონგურზე დაეკრას ამ დიდებულ, თბილ, ახალგაზრდული ენერგიით სავსე, მოსიყვარულე ადამიანს.

დაე, მრავალჟამიერ მისი სიმღერა.

ნანი კილასონია.

ჯაგთმოყვარეობის ნიჭით გამორჩეული...

მაშინ პატარა ვიყავი, არ მახსოვს რამდენი წლისა ან რომელი კლასის მოსწავლე. ბატონი რეზო სამხედრო სამსახურიდან ახალი ჩამოსული იყო, ჩემი ქუჩიდან დიდი და პატარა კლუბში მიდიოდა... ამბობდნენ, თოდუების კონცერტი არისო... მე და ჩემი დაც წავედით... დარბაზში ტევა არ იყო... ხალხი ფეხზეც იდგა... მხოლოდ ლამპის შუქი ანათებდა იქაურობას...

სცენაზე გამოჩნდნენ რეზო და მისი დები-დოდო და ელიზა... მათთან ერთად ბიძაშვილი გოგოები–ნატრული და ნათელა (არაჩვეულებრივი ბუნების იყვნენ, დედაჩემს ძალიან უყვარდა დოდო და ელიზა, ჩვენც გვიყვარდა, როცა გათხოვდნენ ვიტირეთ, ჩვენთან ხშირად მოდიოდნენ, დოდო და ინგა ძალიან ჰგვანან ბუნებით)... არ მახსოვს, რომელი სპექტაკლი დადგეს, მაგრამ ის კი მახსოვს, რომ ყველას ძალიან მოეწონა... ყველამ არაჩვეულებრივად ითამაშა, მათ შორის რეზომ გამორჩეულად... ასე დამამახსოვრდა პირველად ბატონი რეზო სცენაზე.

არაჩვეულებრივი ბუნების ადამიანი... ჩემი მეზობელი, მასწავლებელი (სკოლაში მუსიკას მასწავლიდა, გუნდის ხელმძღვანელიც იყო)... ხობის საპატიო მოქალაქე, ადამიანი, რომელსაც ყველგან და ყოველთვის სიყვარული და ჰარმონიულობა შეაქვს... ისე ვერ გაივლი მათ ჭიშკარს, რომ ქალბატონმა მზიამ და რეზომ არ შეგიპატიჟონ და არ გაგიმასპინძლდნენ, ასეთები არიან მათი შვილებიც, მოსიყვარულენი, რომელთაც უყვართ თავიანთი სოფელი და თანასოფლელები, მართლაც დასაფასებელი არიან ასეთი ადამიანები, კაცთმოყვარეობის ნიჭით გამორჩეულები...

პროფესიონალი მსახიობი, მომღერალი, კარგი მეზობელი, ადამიანი, რომელიც უყვარს მეზობლებს, სოფელს, ხობს, მთლიანად რაიონს...

ამრავლოს ასეთი ადამიანები ღმერთმა. დიდხანს სიცოცხლე და ბედნიერი წლები, დღეები და წუთები არ მოაკლოს ღმერთმა ბატონ რეზოს...

ქრისტესმიერი სიყვარულით
ნინელი-მზია ხუხია

ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ ხორციელდება

ახალი ხიბულა

* ხობის მუნიციპალიტეტის ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში (გაშფერდი) ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მოსაცდელის მშენებლობა, ხოლო ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში (წინაგოლა) „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ სკვერის კეთილმოწყობა მიმდინარეობს
* მოსაცდელის მშენებლობაზე–6776, ხოლო სკვერის კეთილმოწყობაზე–15327 ლარი დაიხარჯება
* სამუშაოები მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე დასრულდება

ნოჯიხევი

ხობის მუნიციპალიტეტის ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ დაფინანსებული პროექტები ხორციელდება

* ნოჯიხევი–მოსაცდელის რეაბილიტაცია
* ნაფოშტუ–მილხიდების რეაბილიტაცია
* დასახლება–რკინის ცხაურის მოწყობა
* კუთხე ნოჯიხევი–მოსაცდელის მშენებლობა
* ნოჯიხევის №1 ბაღის ეზოს შემოღობვა
* ნოჯიხევის №2 ბაღის ეზოში სკვერის მოწყობა
* ინფრასტრუქტურული პროექტების სახელშეკრულებო ღირებულება 53700 ლარს შეადგენს.

* ხობის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ საჯიჯაოს (ზენი და ჯაპიშაქარი) ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსაცდელების მშენებლობა მიმდინარეობს.

ბია

ხობის მუნიციპალიტეტის ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. პროექტი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ ხორციელდება და მისი სახელშეკრულებო ღირებულება 32307 ლარს შეადგენს.

საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის პროცესს ხობის მუნიციპალიტეტის მერი, გოჩა ქაჯაია და მერის პირველი მოადგილე, ვარაზ გაბედავა გაეცნენ.

გასულ წელს ბიის ბაღის სახურავის სრული რეაბილიტაცია განხორციელდა, რაზეც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 76 ათას ლარამდე დაიხარჯა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ 2019 წელს, ხობის მუნიციპალიტეტის 21 ადმინისტრაციულ ერთეულში 784 ათასი ლარის ღირებულების 60 პროექტი განხორციელდება.

ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის ანგარიში

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ერთობლივი საქმიანობით ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა

ხობის მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოსთვის მიკუთვნებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს.

ხობის მუნიციპალიტეტის მერია 2018 წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა 8 სამსახურის მეშვეობით, ესენია:

1. ადმინისტრაციული სამსახური;
2. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური;
3. ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური;
4. ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური;
5. კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური;
6. შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური;
7. წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური;
8. შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური.

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსთვის მიკუთვნებული ცალკეული საკითხების განხილვის, შესწავლის, შესაბამისი წინადადებებისა და დასკვნების შემუშავების და სახელმწიფოსგან მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში მერიის პასუხისმგებელი პირების, სხვადასხვა სამსახურის მოსამსახურეთა და სხვადასხვა უწყებათა წარმომადგენლების მონაწილეობით შექმნილია კომისიები და სამუშაო ჯგუფები, რომლის ფარგლებში კოლეგიურად განიხილება მერიის კომპეტენციას მიკუთვნებული ისეთი საკითხები, რომელთა განხილვა სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენელთა თანამონაწილეობას საჭიროებს. ამ მიზნებისთვის, 2018 წლის განმავლობაში ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში ფუნქციონირებდა:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისია;
2. სახელმწიფო შესყიდვების კონკურსის მეშვეობით განხორციელების მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისია;
3. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულების კონტროლის ჯგუფი;
4. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საინვენტარიზაციო კომისია;
5. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის სააუქციონო კომისია;
6. ხობის მუნიციპალიტეტის გამწვევი კომისია;
7. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამების უზრუნველყოფის კომისია;
8. ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მრავალწლიანი ნარგავებისა და მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი პირველი ხარისხის მერქნული რესურსის განაწილების შემსწავლელი კომისია;
9. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისია.
10. ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიისაგან მიყენებული ზარალის შემსწავლელი კომისია;
11. ხობის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული, პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია;
12. ხობის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია;
13. ხობის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენის მიზნით შექმნილი საკოორდინაციო ჯგუფი;
14. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისია.

მერიის მიერ გაწეული საქმიანობის სრულყოფილად წარმოჩენის მიზნით, წარმოგიდგენთ როგორც სამსახურების მიერ წარმოებულ საქმიანობას, მათ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტისათვის, ასევე მათი საქმიანობის შედეგად მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიღწეულ შედეგებს.

მუნიციპალიტეტის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბიუჯეტო შემოსავლები.

ადგილობრივი საბიუჯეტო რესურსების მართვას ახორციელებს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, მუნიციპალური პროგრამების საფინანსო გაანგარიშება-დასაბუთებას, დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებას, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ, მიზანშეწონილ და ეფექტიან გამოყენებაზე წინასწარი და მიმდინარე კონტროლის დაწესებას, ადგილობრივი შესყიდვების ორგანიზებას და ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების შესაბამისად ხარჯების გაწევას, შესაბამისი ფინანსური ოპერაციების განხორციელებას და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშგებას.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №67 დადგენილებით დამტკიცდა მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი საშემოსავლო ნაწილში 8346,9 ათასი ლარის და საგასავლო ნაწილში 8346,9 ათასი ლარის ოდენობით.

2018 წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა საშემოსავლო ნაწილში 13701,0 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში 16019,4 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 6937,4 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტებია ინფრასტრუქტურის განვითარებისა და დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

2018 წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგებით შემოსულობების გეგმა შესრულებულია 100,8 %-ით (წლური გეგმა–13701,0 ათასი ლარი, შესრულება–13816,2 ათასი ლარი), საგადასახადო შემოსავლები გეგმიური წლიური 6226,7 ათასი ლარიდან შემოსულია 6657,5 ათასი ლარი–430,8 ათასი ლარით მეტი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი საქმიანობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურის მიერ მომზადდა და 2018 წლის განმავლობაში ორგანიზებულია 80 ელექტრონული ტენდერი, ელექტრონული და გამარტივებული შესყიდვის მიზნით გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 142 ხელშეკრულება.

ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად მერია თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მეშვეობით. სამსახურის მიერ ხორციელდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული ქონების აღრიცხვა და მისი მართვისა და განკარგვისთვის წინადადებების და სათანადო დოკუმენტაციის მომზადება, სახელმწიფო და ადგილობრივი ქონების გამიჯვნა, რეგისტრაციისთვის საჭირო პროცედურების ჩატარება და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური უზრუნველყოფს თვითმმართველ ერთეულში ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრას და განხორციელებას, ეკონომიკური საქმიანობის მარეგულირებელი წესების შემუშავებას და განხორციელებას, სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებას. წინადადებების შემუშავებას მუნიციპალიტეტის ქონების მართვის, ადგილობრივი მოსაკრებლების, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე და სხვა ეკონომიკური აქტივობების შესახებ.

განსაკუთრებულ კონტროლზეა აყვანილი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების ლიცენზირებისა და რაციონალურად გამოყენების საკითხი. გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოდან მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე ხორციელდებოდა მონიტორინგი ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე და ათვისების საკითხებზე.

ადგილობრივ ბიუჯეტში, ბუნებრივი რესურსების სარგებლობიდან მოსაკრებლის სახით შემოსულია 78100 ლარი. აუქციონის ფორმით ხორციელდება მუნიციპალური ქონების გაიჯარება და პრივატიზება. მუნიციპალური ქონების გაიჯარებიდან ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულია 36000 ლარამდე.

2018 წელს, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ქონების გადასახადის სახით ადგილობრივ ბიუჯეტში შემოვიდა 2219000 ლარი, ხოლო ფიზიკური პირებიდან 59300 ლარი. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი იურიდიული პირებიდან 220 000 ლარი, ხოლო ფიზიკური პირებიდან–99500 ლარი.

ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულია 25649,50 ლარი დასუფთავების მოსაკრებლის სახით, მათ შორის იურიდიული პირებიდან–12948 ლარი, ფიზიკური პირებიდან–10655,76 ლარი, მოსახლეობიდან –2045,69 ლარი.

ეკონომიკური პროფილით მუნიციპალიტეტისთვის განსაზღვრული პრიორიტეტების გათვალისწინებით სამსახური ასევე უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის და აგრარული რეფორმების განხორციელების ხელშეწყობას. აგროსასურსათო, აგროგადამამუშავებელი, ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების, მემცენარეობის, მეცხოველეობის, მეთევზეობის, აგროსაინჟინრო და ვეტერინარიის დარგების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელებას, სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებული მეურნე სუბიექტებისა და დაინტერესებული პირებისთვის დახმარების გაწევას.

ადგილობრივი და სახელმწიფო ხელისუფლების კოორდინირებული საქმია-

5

ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის ანგარიში

4

ნობით ეფექტიანად განხორციელდა აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამა. რამაც მოსახლეობას შესაძლებლობა მისცა წინა წლებთან შედარებით გაზრდილი მოსავალი და უკეთესი ხარისხის სიმინდი მიეღო.

„ცივი შესხურების“ მეთოდით დამუშავდა საყანე ფართობები და მიმდებარე ტერიტორიები. ხოლო, თერმული ნისლის გამოყენებით–შიდა სასოფლო გზების, ჩიხების და ქუჩების მიმდებარე ტერიტორიები. სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე აზიური ფაროსანას გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, ტყის პერიმეტრზე, ბუფერულ ზონებში, დაცული ტერიტორიების მიმდებარედ, დამონტაჟდა 60 ათასამდე „მოიზიდე და გაანადგურე“ სადგური. ქიმიურ წამლობის არეალი და ვადა მონიტორინგის საფუძველზე განისაზღვრებოდა. მუნიციპალიტეტში ორი ტრაქტორი და 8 ერთეული მაღალი გამავლობის ავტომობილი მუშაობდა, რომლებზეც დამონტაჟებული იყო შესაბამისი აგრეგატები.

მუნიციპალიტეტი აქტიურად ჩაერთო „საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციის“ მიერ შემუშავებულ „თხილის გადარჩენის“ პროგრამაში. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში აქტიურად მიმდინარეობდა ასოციაციაში გაწევრიანების პროცესი.

პროგრამით გათვალისწინებულია: თვეში 2-ჯერ ვიზიტი/ტრენინგი, ოპტიმალური წამლობის სქემების დაგეგმვა და შეთავაზება; მაღალი ეფექტურობის შესაწამლი აპარატებითა და უსაფრთხოების საშუალებებით უზრუნველყოფა; შეღავათები პრეპარატებზე ასოციაციის „ფერმერთა მომსახურების ცენტრებში“; ფინანსურ ინსტიტუტებთან შუამდგომლობა (ბანკები, მიკროსაფინონსო ორგანიზაციები); ნიადაგის ნაყოფიერების მართვა და ანალიზებით უზრუნველყოფა; შეღავათები სერვისებზე ასოციაციის თხილის საშრობ და სასაწყობე ცენტრებში; სპეციალური „ფერმერის დღიურების“ გადაცემა; მოსავლის ხარისხის კონტროლი; მიღებული მაღალი ხარისხის თხილის მოსავლის რეალიზაციაში დახმარება.

მერიის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს, ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და განხორციელება. ამ სფეროში, მერიის სტრუქტურული ერთეულებიდან ძირითადი დატვირთვა ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურზე მოდის.

სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვისა და ქალაქთმშენებლობის დოკუმენტების შემუშავებას, მშენებლობის ნებართვების თაობაზე გადაწყვეტილებების მომზადებას, მშენებლობაზე და არქიტექტურულ საქმიანობაზე ზედამხედველობას, ინფრასტრუქტურის განვითარებას და მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას.

სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი, კერძოდ:

2018 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა 5 მილიონი ლარის ღირებულების 9 პროექტი, კერძოდ:

1. ქ. ხობში ქუჩების კეთილმოწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება–320,00 ათასი ლარი;

2. პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საკვიკვინიოში გზის რეაბილიტაცია (ცემენტბეტონის საფარის მოწყობა)–1308,0 ათასი ლარი;

3. თორსა-დღვაბის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დღვაბაში გზის რეაბილიტაცია (ცემენტბეტონის საფარის მოწყობა)–1369,9 ათასი ლარი;

4. გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ პირველ გურიფულში სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 160,0 ათასი ლარი;

5. საგვიჩიოს ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაცია (ცემენტბეტონის საფარის დაგება)–586,6 ათასი ლარი;

6. პატარა ფოთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლის ქუჩების კეთილმოწყობა (ცემენტბეტონი)–301,7 ათასი ლარი;

7. შუა ხორგის, ქარიატისა და ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალსადენი ქსელის მოწყობის სამუშაოები–302.0 ათასი ლარი;

8. ქ. ხობში ცენტრალური პარკისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა–500,0 ათასი ლარი;

9. ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაცია - 198,6 ათასი ლარი;

2018 წელს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე დაიხარჯა 714 ათასი ლარი, კერძოდ:

1. ქალაქ ხობში მთისწინა არხის წარეცხილი ჯებირების სარეაბილიტაციო სამუშაოები–64,6 ათასი ლარი;

2. ქ. ხობში, ჭყონდიდელის ქუჩაზე ხიდის მიმდებარედ ნაპირდამცავი ნაგებობის მშენებლობა–151,5 ათასი ლარი;

3. საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გაღმა საჯიჯაოში მდინარე ხობისწყლის ხიდთან დაზიანებული ნაპირსამაგრი ნაგებობის (ქვანაყარი ბერმა) სარეაბილიტაციო სამუშაოები –100,8 ათასი ლარი;

4. საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გაღმა საჯიჯაოში მდინარე ზანაძგაზე ხიდის (საჭანტურიოს უბანი) სარეაბილიტაციო სამუშაოები 30,9 ათასი ლარი (ხელშეკრულება შეწყვეტილია);

5. ქარიატის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გამოღმა ქარიატაში მდინარე ხობისწყლთან ნაპირდამცავი ნაგებობის მშენებლობა–298,9 ათასი ლარი;

6. ზემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ სახოჭოლაოში ხიდბოგირის სარეაბილიტაციო სამუშაოები–6,9 ათასი ლარი;

7. ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის ჭალადიდის, წერეთლისა და კოსტავას ქუჩებზე სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები–27.4 ათასი ლარი;

8. ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ღელე დარჩაღალუს ამოწმენდის სამუშაოები–33.5 ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით 2 270 000 ლარის ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა, კერძოდ:

1. ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ოთახების მოწყობის სამუშაოები–6,5 ათასი ლარი;

2. ცენტრალური სტადიონის ახალ კორპუსში 2 ცალი წყლის გამაცხელებლის (მზის ენერგიაზე მომუშავე) შეძენისა და დამონტაჟების სამუშაოები - 4,3 ათასი ლარი;

3. საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები–8,1 ათასი ლარი;

4. ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები–11,9 ათასი ლარი;

5. ადგილობრივი გზების მოვლა-შენახვა–150,0 ათასი ლარი;

6. მინისტადიონების მოვლა-შენახვა - 13 ათასი ლარი;

7. ქ. ხობში სასაფლაოს ცენტრალურ შესასვლელთან სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები–12.9 ათასი ლარი;

8. თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში №2 ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები–6,4 ათასი ლარი;

9. ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ნაფოშტუში ღელე ღარღულაზე ხიდბოგირის მოწყობის სამუშაოები 20,6 ათასი ლარი;

10. ქ. ხობში ცენტრალური პარკისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოებთან დაკავშირებით პარკის ტერიტორიიდან საჰაერო გაზსადენის გადატანის სამუშაოები–12,5 ათასი ლარი;

11. საგზაო გამაფრთხილებელი ნიშნების შესყიდვა–5,6 ათასი ლარი;

12. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება - 144,8 ათასი ლარი;

13. ტექნიკური ზედამხედველობის ხარჯები (მიმდინარეობს სამუშაოები) –334,1 ათასი ლარი;

14. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების თანადაფინანსება –1,5 მილიონი ლარი;

15. ქ. ხობში, ვაჟა-ფშაველას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები–5,2 ათასი ლარი.

სამსახური, ასევე კოორდინაციას უწევდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგლის რაოდენობის რეგულირებას. სამსახურის წინადადებით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმდა ხელშეკრულება მგლის 10 და ტურის 20 ინდივიდის ბუნებიდან ამოღების შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით შეიქმნა მონადირეთა ჯგუფები. გატარებული ღონისძიებების შედეგად ამოღებულ იქნა მგლის 5 ინდივიდი.

გარდა სხვადასხვა პროფილის ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული კუთხით მუნიციპალიტეტში განხორციელებული საქმიანობისა და მოსახლეობისთვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა, არანაკლები ყურადღება ეთმობა მუნიციპალიტეტის მასშტაბით კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტისა და ძეგლთა დაცვის ღონისძიებებს, რასაც მერია კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მეშვეობით ახორციელებს.

კულტურის, განათლებისა და სპორტის სფეროზე საუბრისას აუცილებელია აღვნიშნოთ ის მთავარი ნიუანსი, რაზედაც ადგილობრივი ხელისუფლება აკე-

6

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ერთობლივი საქმიანობით ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა

ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის ანგარიში

5

თებს მთავარ აქცენტს. ნებისმიერ სფეროში და განსაკუთრებით კულტურის, განათლებისა და სპორტის სფეროში პრიორიტეტად შერჩეულიქნა ინფრასტრუქტურის მოწყობა, რათა ამ სფეროში მოღვაწე მოქალაქეებს, ახალგაზრდობას, ბავშვებს მიეცეს საშუალება უფრო მეტად გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები.

კულტურის სფეროს უმნიშვნელოვანესი ნაწილია მუნიციპალიტეტის კოორდინაცია სამინისტროებთან კულტურული ობიექტების, ძეგლების შენარჩუნების, დაცვის, შემდგომი რეაბილიტაციის, ტურისტულად საინტერესო ადგილად და საინტერესო ისტორიული ნიშის შესაქმნელად.

სამსახური ჩართულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისადმი ძეგლის სტატუსის მინიჭებისათვის სააღრიცხვო ბარათების მომზადებაში. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილ იქნა შემდეგი ობიექტების სააღრიცხვო ბარათები: ეკლესიები - ნოჯიხევის ჯიხა, ზემო ქვალონის წმ. გიორგის, ზემო ბიის წმ. მთავარანგელოზების, ხეთის წმ. თევდორეს (კორცხო), ხეთის წმ. კვირიკეს (ჩეოხვამე), პირველი მაისის წმ. სოფიოს, ხეთის წმ. მთავარანგელოზთა, ძველი ხიბულის ნაეკლესიარი; ციხე-სიმაგრეები-გაღმა საჯიჯაოს ჯიხა, ზენის ჯიხა საჯიჯაოში, მაჩხომერი, ნასკალუ და ყურუმულიას ციხე, ჯახუთის ციხე სოფელ პირველ მაისში, მისარონფერდი სოფელ ხამისკურში, ხეთას ციხე სოფელ ხამისკურში, ხიბულას ციხე სოფელ ძველ ხიბულაში. სულ წარდგენილ იქნა 17 ობიექტის სააღრიცხვო ბარათი.

ხობის მუნიციპალიტეტში კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების პოპულარიზაციისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ინტერნეტ სივრცეში, კერძოდ საქართველოს საპატრიარქოს ელექტრონულ ბიბლიოთეკაში განთავსდა წიგნები–„ხობის სიძველენი“ და „ყულევი, არქეოლოგია, ისტორია“.

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, გაიმართა ლეგენდარული ანსამბლ „რუსთავის“ კონცერტი.

12 აგვისტოს ტრადიციულად ჩატარდა საეკლესიო-სახალხო დღესასწაული „ცოტნეობა“.

14 ივლისს ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში, „ჩექინ ჯორჯია“-ს ფარგლებში „ქართული ხმების“, „თბილისის მერიის ბიგ-ბენდის“ და მაია ბარათაშვილის ერთობლივი საიუბილეო კონცერტი გაიმართა. კონცერტზე შესრულდა ფოლკლორის, ქართული და უცხოური სიმღერების საუკეთესო ნიმუშები. „ქართულ ხმებთან“ და თბილისის „ბიგ-ბენდთან“ ერთად მაყურებლის წინაშე წარსდგნენ სოლისტები: მაია ბარათაშვილი, გიორგი სუხიტაშვილი, თემო საჯაია, ნესტან ჯიბლაძე, მარიკო ებრალიძე, ნინი გველესიანი და ზაურ შავგულიძე.

ქ. ხობში ჭადრების ხეივანში ახალგაზრდული კონცერტი გაიმართა. ხეივანში შეკრებილი მაყურებლის წინაშე ჯგუფი „უნდერ 7“ და ადგილობრივი შემსრულებლები წარსდგნენ.

19 ივლისს, ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის ორგანიზებით, კულტურის სახლის დიდ დარბაზში ანსამბლ „ოდაბადეს“ კონცერტი გაიმართა. კონცერტზე შესრულდა მრავალხმიანი ხალხური სიმღერის საუკეთესო ნიმუშები.

16 ნოემბერს ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში, მსოფლიო ჩემპიონის, საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრის, ნუგზარ წურწუმიას საზეიმო დახვედრის ცერემონია გაიმართა.

30 დეკემბერს კულტურის სახლის საკონცერტო დარბაზში შეკრებილი მაყურებლის წინაშე ფოლკლორული ანსამბლი „კოლხეთი“ და ჯგუფი „რეზო და ბავშვები“ წარსდგნენ. ხოლო მოსწავლეთა სახლში მოეწყო შობა-ახალი წლის თემატიკაზე შექმნილი ნახატების

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ერთობლივი საქმიანობით ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებები

წარდგენილ იქნა შემდეგი ობიექტების სააღრიცხვო ბარათები: ეკლესიები - ნოჯიხევის ჯიხა, ზემო ქვალონის წმ. გიორგის, ზემო ბიის წმ. მთავარანგელოზების, ხეთის წმ. თევდორეს (კორცხო), ხეთის წმ. კვირიკეს (ჩეოხვამე), პირველი მაისის წმ. სოფიოს, ხეთის წმ. მთავარანგელოზთა, ძველი ხიბულის ნაეკლესიარი; ციხე-სიმაგრეები-გაღმა საჯიჯაოს ჯიხა, ზენის ჯიხა საჯიჯაოში, მაჩხომერი, ნასკალუ და ყურუმულიას ციხე, ჯახუთის ციხე სოფელ პირველ მაისში, მისარონფერდი სოფელ ხამისკურში, ხეთას ციხე სოფელ ხამისკურში, ხიბულას ციხე სოფელ ძველ ხიბულაში. სულ წარდგენილ იქნა 17 ობიექტის სააღრიცხვო ბარათი.

ხობის მუნიციპალიტეტში კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების პოპულარიზაციისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ინტერნეტ სივრცეში, კერძოდ საქართველოს საპატრიარქოს ელექტრონულ ბიბლიოთეკაში განთავსდა წიგნები–„ხობის სიძველენი“ და „ყულევი, არქეოლოგია, ისტორია“.

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, გაიმართა ლეგენდარული ანსამბლ „რუსთავის“ კონცერტი.

12 აგვისტოს ტრადიციულად ჩატარდა საეკლესიო-სახალხო დღესასწაული „ცოტნეობა“.

14 ივლისს ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში, „ჩექინ ჯორჯია“-ს ფარგლებში „ქართული ხმების“, „თბილისის მერიის ბიგ-ბენდის“ და მაია ბარათაშვილის ერთობლივი საიუბილეო კონცერტი გაიმართა. კონცერტზე შესრულდა ფოლკლორის, ქართული და უცხოური სიმღერების საუკეთესო ნიმუშები. „ქართულ ხმებთან“ და თბილისის „ბიგ-ბენდთან“ ერთად მაყურებლის წინაშე წარსდგნენ სოლისტები: მაია ბარათაშვილი, გიორგი სუხიტაშვილი, თემო საჯაია, ნესტან ჯიბლაძე, მარიკო ებრალიძე, ნინი გველესიანი და ზაურ შავგულიძე.

ქ. ხობში ჭადრების ხეივანში ახალგაზრდული კონცერტი გაიმართა. ხეივანში შეკრებილი მაყურებლის წინაშე გამოფენა.

ტრადიციულად წარმატებული და საინტერესო სპორტული შედეგებით მიილია 2018 წელი. საქართველოს ჩემპიონატებზე სხვადასხვა სახეობების მიხედვით შედეგები შემდეგია:

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა:

1. საქართველოს ჩემპიონატი დიდებს შორის:

ნუგზარ წურწუმია (55 კგ.)–საქართველოს ჩემპიონი.

ვარლამ კვარაცხელია (87 კგ.) –ვერცხლის მედლის პრიზიორი.

ჯონი ხეცურიანი (66 კგ.)–ბრინჯაოს მედლის პრიზიორი;

2. ახალგაზრდებში: ჯონი ხეცურიანი საქართველოს ჩემპიონი გახდა, ირაკლი ნაკაშია–ვერცხლის მედალოსანი;

3. 23 წლამდელებში: ვარლამ კვარაცხელია და გოგა პერტახია–ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ, ირაკლი ნაკაშია კი–ვერცხლის პრიზიორი;

4. სასკოლო ასაკის საქართველოს ჩემპიონატზე დავით გვასალია ვერცხლის, მიშიკო ალექსანდრია და გოგა უბილავა კი ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ;

5. ბათუმში გამართულ ბერძნულ-რომაული ჭიდაობის საერთაშორისო ტურნირზე დავით გვასალიამ (45 კგ.) და გიგა გაბისონიამ (60 კგ.) მე-3 ადგილები დაიკავეს;

6. იტალიის დედაქალაქ რომში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ბრწყინვალედ იასპარეზა საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ეროვნული ნაკრების წევრმა, ხობელმა ჯონი ხეცურიანმა, ის 67 კგ. წონით კატეგორიაში ვერცხლის პრიზიორი გახდა;

7. ევროპის და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ნუგზარ წურწუმია, რომელმაც 23 წლამდელთა შორის ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულები მოიპოვა, საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა 2018 წლის აღმოჩენად დაასახელა.

კრივი:

1. ნიკა ჯაკონია (64 კგ.) ჭაბუკებს შორის ჩემპიონი, ბაკურ ჩიქოვანი (60 კგ.) ჭაბუკებს შორის ვერცხლის მედლის პრიზიორი, დემურ ქაჯაია (41,5 კგ.) და გიორგი ახალაია (56 კგ.) კი სასკოლო ასაკის მოკრივეთა შორის საქართველოს ჩემპიონები არიან, ხოლო კოკა კალანდია (43 კგ.) ბრინჯაოს პრიზიორია;

2. ანა ხუნჯუა (64 კგ.) კრივში გოგონათა შორის საქართველოს ჩემპიონი გახდა;

3. ბულგარეთში (ალბენა) მოსწავლეებს შორის დემურ ქაჯაია (41 კგ.) ვერცხლის პრიზიორი გახდა.

მკლავჭიდი:

1. 21 ოქტომბერს თურქეთში მიმდინარე მკლავჭიდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე გულადი (დიტო) ბუკიამ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა;

2. 6 ნოემბერს პოლონეთის ქალაქ რუმიაში სტარტი აიღო მკლავჭიდის მსოფლიო თასის „ძლოტყ თურ'' 2018-ის გათამაშებამ, სადაც 17 ნოემბერს მრავალგზის საქართველოს, ევროპის და მსოფლიო ჩემპიონი ხობელი ვილენ გაბრავა უკვე მესამედ გახდა მსოფლიო თასის მფლობელი;

3. 15-16 დეკემბერს ქ. თბილისში ჩატარდა თბილისის ღია ჩემპიონატი მკლავჭიდში. ჩემპიონები გახდნენ გოჩა სიჭინავა, დათუნა ჟიშკარიანი (დიდებში), საბა დანელია, დიტო ბუკია (ახალგაზრდები); ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალს დაეუფლა საბა ლატარია, ასევე ბრინჯაოს მედლები აიღეს ანრი ბუკიამ და გოგა დანელიამ. მკლავჭიდელთა ტურნირის გამარჯვებულებმა და პრიზიორებმა თასები, მედლები და დიპლომები ჩამოიტანეს;

4. საქართველოს ჩემპიონატზე ქრისტინე ბუკიამ (44 კგ.) მეორე, ხოლო თამუნა ქაჯაიამ (63 კგ.) მესამე ადგილები დაიკავეს.

მძლეოსნობა:

1. ლუკა გულუა–100 მ. რბენაში (შედეგით 11,01) ბრინჯაოს პრიზიორი; ხობის მძლეოსანთა ნაკრები გუნდი–გუნდური მე-2 ადგილი–ვერცხლის პრიზიორი (67 ქულით);

2. საერთაშორისო ტურნირზე ახალციხეში დიდებს შორის ლუკა გულუა 100 მ-ზე რბენაში მეორე ადგილის პრიზიორი გახდა.

სპორტის პოპულარიზაციამ გამოიწვია ის, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში გაიზარდა მძლეოსნობით დაინტერესებული ახალგაზრდების რიცხვი. შეფასებული მდგომარეობის შედეგად ჩვენს მუნიციპალიტეტში მძლეოსნობის ეროვნულ ფედერაციასთან გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი, რის საფუძველზეც გაიხსნა ძალოსნობის წრე ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში. ძალოსნობის ფედერაციამ ხობის მუნიციპალიტეტს გადმოსცა 11,485 ლარის ღირებულების სპორტული ინვენტარი. მემორანდუმი ასევე ითვალისწინებს ურთიერთთანამშრომლობის გრძელვადიან სტრატეგიას, რაც გათვალისწინებული იქნება მიმდინარე მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსის რეაბილიტაციის დასრულებისთანავე.

მთელი წლის განმავლობაში იმართებოდა სპორტული შეჯიბრებები ფეხბურთში, მძლეოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭიდაობაში, ძიუდოში, მინიფეხბურთში, ნარდში.

განსაკუთრებულია მოსახლეობის ინტერესი ლელობურთისადმი. სპორტის

7

ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის ანგარიში

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ერთობლივი საქმიანობით ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა

6

ეს ძირძველი სახეობა ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და მისი აღდგენა-პოპულარიზაციის საქმეში აქტიურად არის ჩაბმული. ყოველწლიურად ტარდება მუ-

გუბერნატორის შეხვედრა მოსახლეობასთან

ნიციპალიტეტის პირველობა ლელობურთში, იზრდება მონაწილეთა რაოდენობა.

ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შესწავლას, სოციალური და ჯანმრთელობის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას და შესაძლებლობის ფარგლებში, მათთვის სათანადო დახმარების გაწევას.

ამ კუთხით, მერია თავის უფლებამოსილებას ახორციელებს შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის მეშვეობით.

მუნიციპალიტეტში ერთიანი სოციალური და ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამა 2018 წელს 482140 ლარით განისაზღვრა, აქედან სოციალური პაკეტი–445900 ლარით, ხოლო ჯანდაცვის მუნიციპალური პაკეტი–36240 ლარით. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, სოციალური პაკეტი გაიზარდა 65000 ლარით და საანგარიშო პერიოდისთვის 510900 ლარი შეადგინა.

სოციალური პაკეტით ერთჯერად ფულად დახმარებებზე გათვალისწინებული იყო 55000 ლარი, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამების უზრუნველყოფის კომისიაში შესულია 1200 განცხადება. საკითხის დეტალურად შესწავლის შემდეგ, 556 მოქალაქეზე გაიცა 54960 ლარის ფულადი დახმარება.

საოპერაციო დახმარების სახით, 215 ავადმყოფზე გაიცა 128331 ლარის საგარანტიო წერილი;

350 ახალშობილზე გაიცა 45900 ლარი, აქედან: პირველ და მეორე ბავშვზე–100 ლარი, ხოლო მე-3 და ზევით, თითოეულზე–300 ლარი, ასეთი იყო 66 ახალშობილი;

მრავალშვილიანთა დახმარების სახით, სარვამარტოდ ბიუჯეტიდან დაფინანსდა 76 ოჯახი, 11400 ლარით;

უმწეოთა სასადილო დაფინანსდა 65000 ლარით, სადაც დღეში 1-ჯერ იკვებება 120 ბენეფიციარი;

სარვამარტოდ, 100 წელს გადაცილებულ 3 ქალბატონს პირად ანგარიშზე ჩაერიცხა 150-150 ლარი;

უმწეო კატეგორიის 160 ოჯახს, წყლის საფასურის სუბსიდირებისთვის ჩაერიცხა 8386 ლარი;

სოციალურად დაუცველ 18 ოჯახზე, სახლების სარეაბილიტაციოდ გაიცა 42500 ლარი;

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 8 ბავშვზე (0-18 წლამდე) გაიცა 3984 ლარის თანადაფინანსების საგარანტიო წერილი;

დიალიზზე მყოფი 16 მოქალაქის სატრანსპორტო ხარჯის ასანაზღაურებლად გადაირიცხა 15500 ლარი;

აფხაზეთის ომში დაღუპულთა 16 ოჯახზე გაიცა ერთჯერადი ფულადი თანხა, თითოეულ ოჯახზე - 200-200 ლარი;

8 აგვისტოს ომში დაღუპულთა 8 ოჯახზე გაიცა 1800 ლარი;

ჩერნობილის ტრაგედიის მონაწილე 16 პირზე გაიცა ჯამში 1600 ლარი;

ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულ 154 ოჯახს ჩაერიცხა 76028 ლარი;

9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, 2 ვეტერანს ჩაერიცხა 1000 ლარი (თითოეულს 500-500 ლარი).

C ჰეპატიტით ინფიცირებულთა პირველადი გამოკვლევების თანადაფინანსების მიზნით 156 ინფიცირებულზე გაიცა 27453 ლარის საგარანტიო წერილი;

C ჰეპატიტის გამოვლენის მიზნით ადმინისტრაციულ ერთეულებში ჩატარდა ექსპრეს ანალიზი. სულ გამოკვლეულიქნა 8500 ბენეფიციარი; ინფიცირებული აღმოჩნდა 205 ადამიანი.

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 3433 იძულებით გადაადგილებული პირი (1042 ოჯახი). იძულებით გადაადგილებული პირები ადგილობრივი მოსახლეობის მსგავსად, თანაბრად სარგებლობენ სოციალური დახმარების და ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამებით.

ადგილობრივი თვითმმართველობა, ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში ჯანდაცვის დამატებითი ექიმამდელი დახმარების პროგრამას ახორციელებს. პროგრამა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით შემუშავდა და მისი ბიუჯეტი 36240 ლარს შეადგენს. სახელმწიფო პროგრამის გარეშე დარჩენილ ადმინისტრაციულ ერთეულებში, მოსახლეობა საექიმო და ექიმამდელი დახმარებას იღებს. 2018 წელს, აღნიშნული პროგრამით 5000-მდე ბენეფიციარმა ისარგებლა.

ადგილობრივ თვითმმართველობას, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობისა, სახელმწიფოს მხრიდან დელეგირებული აქვს სხვადასხვა უფლებამოსილების განხორციელების უფლება. მათ შორისაა მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვა და წვევამდელთა გაწვევის ორგანიზება. რომელსაც მერია ახორციელებს წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის მეშვეობით. სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას, სამხედრო სამსახურისთვის მომზადებას, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას, მობილიზაციასა და სამხედრო ძალების რეზერვთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 2018 წლის იანვარ-აპრილში განხორციელდა 2001 წელს დაბადებულ მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა.

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან გამოთხოვილ იქნა 2001 წელს დაბადებულ ჭაბუკთა სახელობითი სიები. პირველად სამხედრო აღრიცხვაზე ასაყვან 1999 წელს დაბადებულ ჭაბუკთა საერთო რაოდენობამ მოწოდებული ინფორმაციით შეადგინა 192 ჭაბუკი. შესაბამისად სამსახურის მიერ შედგენილ იქნა 2001 წელს დაბადებულ ჭაბუკთა საერთო სახელობითი სია. ასევე თითოეულ ჭაბუკზე შეიქმნა პირადი საქმე სათანადო დოკუმენტაციითურთ. პარალელურად შეიქმნა 2001 წელს დაბადებული ჭაბუკების პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის ანბანური წიგნი. სამართალდამცავი ორგანოებიდან და სამედიცინო დაწესებულებებიდან გამოთხოვილ იქნა იმ ჭაბუკთა სახელობითი სია, რომლებიც იმყოფებიან აღრიცხვაზე.

2018 წლის 30 აპრილს დასრულდა 2001 წელს დაბადებული ჭაბუკების პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა. აღრიცხვაზე აყვანილია 189 ჭაბუკი. ზღვრული ასაკის შესრულების გამო მეორე თანრიგის რეზერვში ჩაირიცხა 145 წვევამდელი. კანონით დადგენილი შეღავათი გაუფორმდა 300 წვევამდელს. საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევის მიზნით სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილია 265 რეზერვისტი. სხვადასხვა მიზეზების გამო სამხედრო აღრიცხვიდან მოიხსნა 56 რეზერვისტი. შინაგან საქმეთა სამმართველოდან და სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან მიღებული მომართვების საფუძველზე სპეცაღრიცხვაზე გადაყვანილია 16 რეზერვისტი. ზღვრული ასაკის გამო აღრიცხვიდან მოიხსნა 25 რეზერვისტი. საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ჟ-1 და შ-1 სამმართველოებიდან მიღებული მომართვების საფუძველზე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გაწვეულია 23 რეზერვისტი. გაცემულია საქართველოს რეზერვისტის 95 დროებითი მოწმობა.

დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მუნიციპალიტეტისთვის დამატებით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში მერიის მიერ წარმოებული საქმიანობა. მათ შორისაა სახელმწიფო პროექტის ხელშეწყობა მიწების რეგისტრაციის პროცესში.

მერიის სამსახურები აქტიურად არიან ჩართულნი მერთან შექმნილ თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მუშაობაში, რაც გამოიხატება ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების აღიარებაზე. კომისიაში 2018 წლის განმავლობაში სულ შემოსულია 737 განცხადება. აქედან განხილულიქნა 546, დაკმაყოფილდა 266, ხოლო 280 განცხადებაზე მიღებულ იქნა უარყოფითი გადაწყვეტილება. 119 განცხადება განხილვის პროცესშია, 72 განცხდება დარჩა განუხილველი.

სახელმწიფო პროექტის ფარგლებში, ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში მიწის ნაკვეთის იდენტურობის დადგენის მიზნით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ასევე შემოსულია 791 კორესპონდენცია, რომელთა

8

ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის ანგარიში

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ერთობლივი საქმიანობით ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა

7

განხილვის პროცესში, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთისა და მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთის იდენტურობის დადგენის პროცესში შედგენილია სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების 643 ოქმი და გამოცემულია მერის წარმომადგენლების 642 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი–ბრძანება, რაც სათანადო დოკუმენტაციასთან ერთად გადაგზავნილია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

წინამდებარე ანგარიშში გაანალიზდა მერიის იმ სამსახურების საქმიანობა, რომლებიც მერიაში შექმნილია დარგობრივი პრინციპით და რომელთა საქმიანობა უშუალოდ აისახება მუნიციპალიტეტსა და მის მოსახლეობაზე. რაც შეეხება მერიის შიდა სამსახურებრივ საქმიანობას და მერიის სამსახურების საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას, მას ახორციელებს მერიის ადმინისტრაციული სამსახური, სადაც აღირიცხება და ფიქსირდება მერიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ მონაცემები თითოეულ მიმართულებაზე, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მოსამსახურეების საქმიანობის კონტროლს ახორციელებს მერიის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური.

ადმინისტრაციული სამსახური ახორციელებს მერიის საქმიანობის ორგანიზაციულ, ანალიტიკურ, საინფორმაციო, სამართლებრივ და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას. მისი ძირითადი ფუნქციაა მერიაში ერთიანი საქმისწარმოების, საკადრო საკითხთა, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა ფუნქციებით მინიჭებულ უფლება-მოვალეობათა შესრულებისთვის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, მერიის კავშირურთიერთობების ორგანიზება საზოგადოებასთან და დაწესებულებებთან.

სამსახური უზრუნველყოფს მერიაში დანერგილი საქმისწარმოების ავტომატიზებული ელექტრონული სისტემების–დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემისა და მუნიციპალიტეტების მართვის სისტემის ადმინისტრირებას, რომლებშიც სრულად აისახება მერიის მიერ წარმოებული კორესპონდენცია და აღნიშნული საქმიანობა საკმაოდ წარმატებულად ხორციელდება. ავტომატიზებული ელექტრონული სისტემების მართვის პროცესში ხშირია მიღებული გამოცდილების გაზიარება და სათანადო კონსულტაციები იმ მეზობელი მუნიციპალიტეტებისთვის, რომლებშიც ელექტრონული დოკუმენტბრუნვის დანერგვა და სრულყოფა მიმდინარე პერიოდისთვის ხორციელდება. შესაბამისად, ხშირია ამ კუთხით როგორც სატელეფონო მომართვები, ასევე ადგილზე ვიზიტები, დოკუმენტბრუნვის რეალურ რეჟიმში მიმდინარე პროცესების შესასწავლად.

მერიაში წარმოებული საქმისწარმოების მასალების დამუშავებისა და შენახვის პროცესში, 2018 წლის განმავლობაში, საქართველოს ეროვნული არქივისთვის გადასაცემად მომზადდა 10 წლის ხანდაზმულობის მქონე, 2005-2008 წლების დოკუმენტური მასალები, რაც სათანადო დამუშავების შემდგომ, მუდმივი შენახვისთვის გადაეცა საქართველოს ეროვნულ არქივს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მერიის სამსახურებისა და მოსამსახურეთათვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნას და მის მუდმივ გაუმჯობესებას, რაც გამოიხატება მატერიალური და ტექნიკური უზრუნველყოფისთვის განხორციელებული აქტივობებით. უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით ხობის მუნიციპალიტეტის მერია ერთ-ერთი გამორჩეული დაწესებულებაა, რომელიც უზრუნველყოფილია როგორც აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით, ასევე, თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით სიახლეების დანერგვით.

უნდა აღინიშნოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების შესაბამისად, უკანასკნელ წლებში განხორციელებული საქმიანობა საჯარო კონკურსებისა და ზოგადად ადამიანური რესურსების მართვის კუთხით. 2018 წლის განმავლობაში ექვს ეტაპად განხორციელდა საჯარო კონკურსები მერიის მოხელის 14 ვაკანტურ თანამდებობაზე და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ 1 ვაკანტურ პოზიციაზე კანდიდატთა დასანიშნად.

საანგარიში წლის განმავლობაში, პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების მიზნით, ახალი კანონმდებლობის შესაბამისად მოხელის თითოეული რანგისთვის განისაზღვრა შესაფასებელი კომპეტენციები და განხორციელდა მერიის მოხელეთა შუალედური და წლიური შეფასება, ხოლო გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოხელეებისთვის–ყოველკვარტალური შეფასებები.

სამსახურის საქმიანობის პროცესში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სახელმწიფოსგან მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში წარმოებული საქმიანობა. „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში განხილულია 791 განაცხადი, რაზეც ანგარიშში უკვე გავამახვილეთ ყურადღება,

ადმინისტრაციული სამსახურის ერთერთი ძირითადი მიმართულებაა საზოგადოებასთან ურთიერთობა, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობისა და ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განხორციელებული საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფა.

საინფორმაციო უზრუნველყოფის კუთხით გატარებული საქმიანობიდან უნდა აღინიშნოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე აქტივობების გაშუქება ადმინისტრაციული სამსახურის საინფორმაციო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების მხრიდან. ასევე, ხობის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის ფუნქციონირების საკითხი, რომლის გაუმჯობესების მიზნით, ინფორმაციულად უფრო დატვირთულად და ვიზუალურად და თემატურად მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად იგეგმება ვებ-გვერდის რეკონსტრუქცია, რომლითაც მიზნად ვისახავთ, ვებგვერდზე სრულად აისახოს არამარტო ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს სტრუქტურა და მისი საქმიანობა, არამედ ვებგვერდმა სრულად უნდა მოიცვას მუნიციპალიტეტში არსებული სახელმწიფო, ადგილობრივი, თუ კერძო სტრუქტურების სამოქმედო სფეროები, მათი მიზნები და ამოცანები. უფრო მეტად საჯარო გახდეს თუნდაც თითოეულ უწყებაში დასაქმებული მოსამსახურის ვინაობა და მათი საქმიანობა... და ყველაზე მთავარი: შესაძლებლობის ფარგლებში სრული ინფორმაცია მივაწოდოთ საზოგადოებას როგორც მუნიციპალიტეტის ამჟამინდელი ცხოვრების შესახებ, ასევე მისი ისტორიისა და გეოგრაფიული ღირსშესანიშნაობების თაობაზე. ამ კუთხით უკვე გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები და 2018 წლის მდგომარეობა მკვეთრად განსხვავდება წინა წლებისა-

ბზების სარეაბილიტაციო სამუშაოები



9

ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის ანგარიში

გან ინფორმაციული უზრუნველყოფისა და მერიის ვებგვერდის და სოციალური გვერდის აქტივობის კუთხით.

სამსახურის საქმიანობიდან მეტად საპასუხისმგებლო ფუნქციას წარმოადგენს მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მერის და საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, სამსახურების მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტების ექსპერტიზა და შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება, იურიდიული დასკვნების მომზადება და საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ინტერესების დაცვა სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან.

2018 წლის განმავლობაში სამსახურის მიერ, ან სამსახურის უშუალო მონაწილეობით მომზადდა და გამოიცა 1487 ბრძანება.

ციული სამსახურის ანგარიშები, ასევე ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის“ და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ კოლხეთის“ ანგარიშები.

სამსახურმა, ასევე, განხორციელა გაწეული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი. გარდა ამისა, შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური მუშაობს კონტროლის კუთხით. კერძოდ, ამოწმებს მერიისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურეობრივ კონტროლს.

გარდა მერიის სამსახურების მიერ განხორციელებული, ანგარიშში ჩამოთვლილი საქმიანობისა, მათ კომპეტენციას მიეკუთვნება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობის კოორდინირება და კონტროლი, რომლის ფარგლებშიც 2018

შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონ ნუგზარ წურწუმიასთან

ში, 2018 წლის განმავლობაში, მართვის ავტომატიზებული სისტემების მეშვეობით რეგისტრირებულია 18208 დოკუმენტი, მათ შორის: 8987 შემოსული

გზების შესამუშავებლად.

მოსახლეობის ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის ფრიად მნიშვნელოვანია ადგილობრივ თვითმმართველობას გააჩნდეს კომპე-

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ერთობლივი საქმიანობით ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა

საკრებულოს განსახილველად და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინა საკრებულოს დადგენილების 29 პროექტი და საკრებულოს განკარგულების 23 პროექტი.

სხვადასხვა სახის სახელშეკრულებო პირობების დარღვევის გამო გამოიცა 20 იურიდიული დასკვნა პირგასამტეხლოს დაკისრების ან პირგასამტეხლოს დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ.

გარდა მერიის სამსახურებისა და ადგილობრივი ორგანიზაციებისა, არაერთ მოქალაქეს და ორგანიზაციას მიუღია სამართლებრივი განმარტება და დახმარება სხვადასხვა სახის პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით. ამ კუთხით მუშაობა და საზოგადოებასთან და ორგანიზაციებთან კავშირურთიერთობა სისტემატურ ხასიათს ატარებს და სხვადასხვა თემატიკასთან შეხება თვით მოსამსახურეთათვისაც მეტი გამოცდილების მიღების გარანტიაცაა.

ანგარიშში აღწერილი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისა და შიდა კონტროლის მიზნით, როგორც აღვნიშნეთ, მერიაში შექმნილია შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური.

სამსახურის მიზანია, უზრუნველყოს მერიის და მუნიციპალიტეტის იურიდიული პირების საქმიანობის სრულყოფა და კანონიერება, ფინანსების მართვის გაუმჯობესება, სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობის ხარჯვისა და გამოყენების კანონიერება, მიზნობრიობის დაცვა და ეფექტიანობის გაზრდა.

შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის მიერ 2018 წლის განმავლობაში განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული სამი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ერთი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტორული შემოწმება. სულ გამოიცა 6 ანგარიში. ესენია: ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის და მერიის ადმინისტრა-

წლის განმავლობაში განსაკუთრებული მიდგომა იქნა გამოხატული. პერიოდულად მუშავდება წინადადებები მათი საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისა და შესაბამისი სფეროების მიხედვით მუნიციპალიტეტისათვის მისაღები დადებითი შედეგების გაზრდისათვის.

2018 წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული 6 იურიდიული პირი, მათ შორის 4 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ხოლო 2 - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ესენია:

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება“;

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი“;

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“;

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“;

შპს „ხობი დასუფთავება და განათება“;

შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება“.

ჩამოთვლილთაგან შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება“ დაფუძნდა 2018 წელს, ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის წყალმომარაგებისა და წყალარინების უზრუნველყოფისთვის და მას სამართავად გადაეცა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადრე არსებული და უკანასკნელ წლებში მუნიციპალიტეტის სახსრებით შექმნილი წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემა.

ზემოთ ჩამოთვლილი იურიდიული პირების საქმიანობით მიღებული შედეგები ასახულია ამ იურიდიული პირების ანგარიშებში, ხოლო მათ საქმიანობაში სისტემატური ჩართულობაა მერიის შესაბამისი სამსახურებიდან.

ანგარიშში აღწერილი მერიის საქმიანობა, დოკუმენტურად ფიქსირდება ამ საქმიანობის პროცესში შექმნილი დოკუმენტაციით, რომლის მოცულობა 2018 წლის მონაცემებით შთამბეჭდავ სტატისტიკას მოიცავს, კერძოდ:

მერიის საქმის წარმოების პროცეს-

კორესპონდენცია, 2573 შიდა კორესპონდენცია, 5161 გასული კორესპონდენცია და 1487 სამართლებრივი აქტი (მათ შორის: პირადი შემადგენლობის შესახებ - 699 ბრძანება, საფინანსო საკითხების შესახებ–176 ბრძანება, ქონების განკარგვის შესახებ–22 ბრძანება, სანებართვო პირობების შესახებ–70 ბრძანება, სოციალური დახმარების შესახებ - 368 ბრძანება, სამხედრო ვალდებულებების შესახებ–66 ბრძანება, სხვა საკითხების შესახებ–86 ბრძანება).

მერიის საქმიანობის პროცესში ხშირია საკონსულტაციო და სარეკომენდაციო ხასიათის შეხვედრები და სატელეფონო საუბრები, ასევე ინფორმაციის მოთხოვნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან, საქართველოს იუსტიციისა და რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებიდან, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციიდან, სხვადასხვა სამთავრობო, თუ არასამთავრობო ორგანიზაციიდან. მიღებული ინფორმაციები და გაწეული რეკომენდაციები ანალიზდება და მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად ყალიბდება ერთიანი აზრი სამომავლოდ გასატარებელ ღონისძიებათა თაობაზე.

განსაკუთრებული და მჭიდრო თანამშრომლობაა საქართველოს პარლამენტის ხობის მაჟორიტარ წევრთან და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასთან, რომელთა მხარდაჭერით და ინიციატივით არაერთი ღონისძიება განხორციელდა და სამომავლოდაც დაიგეგმა.

წინამდებარე ანგარიშით აშკარად ჩანს ის პოზიტიური შედეგები, რაც ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობით არის მიღწეული და ასევე აშკარად იკვეთება მცდელობა შემდგომი ეტაპებისთვის უკეთესი შედეგების მისაღწევად. მიუხედავად იმისა, რომ უმეტესწილად ყურადღება გამახვილდა პოზიტიურ შედეგებზე, ეს არ გვაძლევს თვითდამშვიდების საშუალებას, ვინაიდან საქმიანობის პროცესში ხშირია ასევე შეფერხებები და ნაკლოვანებები, რომელთა უმეტესობა ოპერატიულად გვარდება, თუმცა გარკვეული ნაწილი ანალიზს საჭიროებს სათანადო რეაგირების

ტენციების ფართო სპექტრი, რაც საშუალებას მოგვცემს ადგილობრივ დონეზე ოპერატიულად მოგვარდეს მათთვის აქტუალური საკითხები. ამის საშუალებას იძლევა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, რომლის მიხედვითაც გარდა თვითმმართველობებისთვის ადრე მინიჭებული უფლებამოსილებებისა, მათ გადაეცა ფუნქციები ისეთი სფეროების რეგულირებისა, როგორიცაა დასაქმების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერა და ტურიზმის განვითარება, სოციალური დახმარების, ჯანდაცვის, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა, მასობრივი სპორტის ხელშეწყობა, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა, ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვა, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერა. ამ უფლებამოსილებათა აღსრულების კომპლექსურად განხორციელებას ემსახურება ასევე სახელმწიფოს მხრიდან გაცხადებული მიდგომა მმართველობის დეცენტრალიზაციის მიმართულებით.

თითოეული საქმე დიდი შრომის შედეგად არის მიღწეული, რომელშიც აქტიურად იყო და არის ჩართული საზოგადოების ფართო სპექტრი და სამომავლო საქმიანობაც მსგავსი პრინციპების გათვალისწინებით იგეგმება.

ჩვენი მიზანია მაქსიმალურად ავამოქმედოთ და გამოვიყენოთ ყველა რესურსი საზოგადოების შემდგომი განვითარებისთვის და ამ მიზნების განხორციელებისათვის მაქსიმალური ხელშემწყობი გარემო შევქმნათ.

გოჩა ქაჯაია
ხობის მუნიციპალიტეტის მერი. 2018 წლის მაისი.

პერსპექტივა, რომელიც საქართველოს გრძელვადიან სარგებელს მოუტანს

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ჩარჩო-ხელშეკრულებამ სახელმწიფო განვითარების ახალ პლატფორმაზე დააყენა. მისი ეფექტიანი განხორციელება, ფაქტობრივად, შეუქცევადს ხდის ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს და გულ ისხმო ბს ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებასა და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას. საზოგადოება მნიშვნელოვნად აპელირებს საქართველო-ევროკავშირის სამომავლო პერსპექტივაზე, თუმცა ყველა ერთხმად თანხმდება, რომ მისი ევროპასთან ღრმა და ყოვლისმოცველი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შექმნა საქართველოს ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების დიდი გარანტია. DCFTA ნაწილის ამოქმედებით მცირე და საშუალო მეწარმეებმა გარკვეული მიზნები დაისახეს და თავიანთი იდეები ევროპულ ბაზარს მოარგეს.

კენკროვანი კულტურის გაშენება საქართველოსთვის ევროპული ბაზრის დაკავების და სტაბილური ბიზნესის გარანტია

ზაზა ქარდავა ხობის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეულის მკვიდრია. ის პროფესიით საბანკო-საფინანსო საქმის სპეციალისტია, თუმცა თავისი საქმიანობა შპს „ხარებას“ დაუკავშირა და დიდ ექსპერიმენტში ჩაერთო, რაც გულისხმობდა ახალსოფელში კენკროვანი კულტურის, კერძოდ, მოცვის გაშენება, მოვლა-პატრონობას.

–მახსოვს, როდესაც გუნდი შეიკრიბა და მის მენეჯერად დამნიშნეს, თან რაიონისთვის უცხო კულტურის დარგვა, მოვლა-პატრონობა დამავალეს 10 ჰექტარზე, ეს დიდი რისკი და გამოწვევა იყო ჩემთვის. სწორედ იმ დღიდან მთელი ჩემი ენერგია და დრო ამ კულტურის შესწავლას და მასზე ზრუნვას მოვახმარე. მივხვდი, გადაწყვეტილება სწორად იყო მიღებული და ჩვენი მაღალი მჟავიანობის მქონე მიწები მოცვის კულტურის გასავითარებლად საუკეთესო პირობა იყო. როცა პირველი ნერგი დავრგე, ბევრ გამოწვევას დავუპირისპირდი, უნდოდ მომზირალი თვალები, ექსპერიმენტები, ეჭვები... მაგრამ ყველაფერი დავიწყებას მიეცა, როცა რამდენიმე თვეში მცენარეზე საცდელი ნაყოფი შევნიშნეთ. ეს საქმე ბოლომდე უნდა მიმეყვანა და შედეგი დამედო. ვიცოდი ბევრი მეწარმე გულისყურით ადევნებდა ჩემს ექსპერიმენტს თვალს. უკვე მეორე წელია ჩემს გუნდთან ერთად, სადაც სეზონურად 84 ადამიანამდე ვასაქმებ, მუხლჩაუხრელად ვმუშაობთ გათენებიდან გვიან ღამემდე. ველოლიავებით, ვეფერებით ნერგებს, ყურადღებას არ ვაკლებთ, შედეგიც დამაიმედებელია. ამ ჯერზე 4 ტონა დავკრიფეთ და მოსავლის აღებამდე კიდევ ველოდებით იმდენივეს.

სამომავლოდ რას აპირებთ?

–რადგან სახელმწიფომ ასოცირების ჩარჩო-ხელშეკრულების ხელმოწერით გზა გაგვიხსნა ევროპისკენ, ბაზარი მზარდია, კენკროვანი კულტურა კი მოთხოვნადი, ეს იმის ნიშანია, რომ ჩვენ რაც შეიძლება მეტი მეწარმე და ბიზნეს-ოპერატორი უნდა დავაინტერესოთ ამ მიმართულებით და შევუწყოთ ხელი ამ კულტურის განვითარებას.

ჩვენი პერსპექტივა-გაფართოებაა. კულტურა, რომელის გაშენებაზედაც ჩვენ ვზრუნავთ, უალტერნატივო და მომავალი წარმატების საწინდარია. მცირე მეწარმეებისთვის განვითარების დიდი საშუალებაა, რაც პირდაპირპროპორციულია ქვეყნის ეკონომიკური

გაძლიერების. სამომავლოდ ვგეგმავთ სამეგრელოში მოყვანილი ეკოლოგიურად სუფთა, ხარისხიანი პროდუქტი შევთავაზოთ ევროპელ მომხმარებელს. წინ ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევა და სამუშაო გველოდება.

რას ეტყვით იმ ფერმერებს, ვინც გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს თქვენს საქმიანობას?

–ექსპერიმენტმა გაამართლა. მოდით ვითანამშრომლოთ. მე ჩემდათავად დავეხმარები, გავუზიარებ გამოცდილებას, პრაქტიკას და გვერდში ამოვუდგები. უფრო მეტი მასივები უნდა დაიტვირთოს კენკრით, დამერწმუნეთ, ეს წარმატებული ბიზნესის საწინდარია. რაც უფრო ბევრი ეკოლოგიურად ჯანსაღი, ხარისხიანი პროდუქტი გვექნება, მით უფრო მალე გავიტანთ ჩვენს პროდუქტს ევროპულ ბაზარზე.

სახელმწიფოც მზადაა გვერდში დაუდგეს მცირე მეწარმეებს და ხელი შეუწყოს მათ კენკროვანი კულტურების მოვლა-პატრონობისა და რეგიონებში მათი დამკვიდრების განვითარებაში.

სოფლისა და სოფლის განვითარების სააგენტოს ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის სპეციალისტი ბესიკ ნაჭყებია:

სახელმწიფომ კენკროვანი კულტურების განაშენება პრიორიტეტად დაისახა, გამომდინარე იქიდან, რომ პირველი-ევროპასთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის (DCFTA) ამოქმედებით, საქართველოს გაეხსნება მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც ამ ეტაპზე აერთიანებს 28 ქვეყანას, 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს და ამ ბაზარზე კენკროვანი კულტურის დიდი მოთხოვნაა. და მეორე- ჩვენი რეგიონის მაღალმჟავიანი სტრუქტურის ნიადაგი და კლიმატური პირობები ყველაზე მეტად შეესაბამება კენკროვანი კულტურის გაშენების პირობებს. სახელმწიფომ მიიღო გონივრული გადაწყვეტილება, თან გაითვალისწინა, რომ რეგიონი უმეტესად დასახლებულია მცირემიწიანი ფერმერებით, სწორედ მათ მოარგო კენკროვანი კულტურების: ჟოლოც, უეკლო მაყვალისა და მოცვის სრულ დაფინანსების სახელმწიფო დახმარების პროგრამა. რაც გულისხმობს მეწარმის ნერგებით, სარწყავი სისტემით და საჭირო მასალებით უზრუნველყოფას. ასევეარის მეორე პროგრამაც დიდი ფერმერებისთვის, ისინი ვინც ფლობენ ნახევარი ჰექტრიდან–20 ჰექტრამდე ფართობებს ნერგის თანადაფინანსების 70%-ს, და სარწყავი სისტემის 50%-დე უზრუნველყოფას. ასევე კოოპერატივის ჩამოყალიბების შემთხვევაში სახელმწიფო უფასოდ უზრუნველყოფს სამაცივრე დანადგარით. დამერწმუნეთ, ეს დიდი შეღავათია და დახმარებაა სახელმწიფოს მხრიდან.

ნამდვილად, საჭირო და აუცილებელია მოვნახოთ გზები, რითაც მცირე და საშუალო მეწარმეები, ფერმერები შეძლებენ ისეთი საშუალების პოვნას, რაც ქვეყანას და საკუთარ წარმოებას უკეთესი, წარმატებული მომავლის პერსპექტივას დაუსახავს და მდგრად განვითარებას უზრუნველოფს.

ლელა ალანია.

საანგარიშო კონცერტი.

ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრთან“ არსებული შემოქმედებითი სტუდიებისა და წრეების საანგარიშო კონცერტი გაიმართა.

სტუდიებისა და წრეების მოსწავლეები მაყურებლის წინაშე ქართული ხალხური ცეკვებითა და საესტრადო ჟანრის სიმღერებით წარსდგნენ.

კონცერტს მერიის და საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად, ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, მახარე ჩოკორაია ესწრებოდა.

ხობში თემურ ელიავას პოეზიის საღამო გაიმართა.

ხობის კულტურის სახლის მცირე დარბაზში პოეტ თემურ ელიავას პოეზიის საღამო გაიმართა. ახალგაზრდა პოეტმა ღონისძიების მონაწილეებს საკუთარი შემოქმედება გააცნო.

ღონისძიებას ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საღამო „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო, საზოგადოებრივი ცენტრის“ ორგანიზებითა და ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით ჩატარდა.

სულთათანა

ბერჯეკი
(ეტიუდი)

მისი ნამდვილი სახელი ბევრმა არც იცოდა. „ბერჯეკი“ მეგრულად მაგარს ნიშნავს, ალბათ მისი ფიზიკური აღანგობის და სულიერი სიმტკიცის გამო შეარქვეს ეს სახელი.

პატივსაცემი კაცი იყო, მის სიტყვას ფასი ჰქონდა, გულღია ნამდვილად არ ეთქმოდა, მუდამ დარდიანი დადიოდა, საოცარი სევდიანი გამოხედვა ჰქონდა. იცოდნენ მეზობლებმა მისი წარსული ცხოვრების შესახებ, ამიტომ ერიდებოდნენ პირად ცხოვრებაზე საუბარს. თვითონ სიტვაძუნწი იყო. ბახუსიც უყვარდა, მაგრამ ფეხაშლილი არავის უნახავს. მარტოობას იყო მიჩვეული, მიზეზიც ჰქონდა.

ახალგაზრდა გაიწვიეს ომში, ექვსი წელი იომა. დედ-მამა მის დარდს გადჰყვა. დედისერთა ბიჭს გამოკეტილი სახლი და ეკალ-ბარდიანი ეზო დახვდა. ის-ის იყო შექმნა ოჯახი, სიცოცხლის ხალისი დაიბრუნა, მაგრამ... სამეულმა დაასმინა: ტყვედ ნამყოფია, მოღალატეა ფაშისტების მხარეს იბრძოდაო. შუა აზიის გზას გაუყენეს, მეუღლეც თან გაყვა, ეხვეწებოდა–დარჩი მეც მალე ჩამოვალო, მაგრამ ვინ დაუჯერა.

ხუთწლიანი ჯოჯოხეთური ცხოვრების შემდეგ დაბრუნდნენ, მაგრამ ვაი ასეთ ჩამოსვლას, ყველა ადამიანური ღირსება ჩამოართვეს...

ბელადის სიკვდილის შემდეგ ცოტათი მოითქვეს სული, მაგრამ სადარდებელი ერთი რამ ჰქონდათ–მემკვიდრე არ უჩნდებოდათ.

სიბერეც მოახლოვდა, მეუღლე ადრე გარდაეცვალა და ბერჯეკი დარჩა ეულად, მეზობლების ამარა.

უფრო ჩაკეტილი გახდა, ბოლო დროს ხშირად გაიგებდი მისგან, დალხინებული და ღიმილიანი ცხოვრება არსადროს მქონიაო. ისიც იცოდა ვინ გაუმწარა სიცოცხლე, ვინ დაასმინა, მაგრამ დუმდა, რომ ეტყოდნენ სათქმელი თქვი, ჩვენც ვიცოდეთო–დინჯად პასუხობდა: არ არის საჭირო, შვილებმა რა დააშავესო. იქ, რომ შევხვდები პასუხს პატიოსან ხალხთა შეკრებაზე ვიტყვიო და სიცოცხლის ბოლომდე ბერჯეკად დარჩა.

სიცოცხლის ბოლო დღეს მისი პიჯაკის მარცხენა ჯიბეში მეზობლებმა წერილი იპოვეს, სადაც ეწერა, იმ ქუჩით და იმ გზით ნუ წამასვენებთო.

ყველასთვის ყველაფერი ნათელი იყო.

ბეჭან ნადარაია.

სიყვარულის კაცი
თემურ სალაყაია

ამასწინთ ფოტო-ალბომს ვათვალიერებდი, გაყვითლებულმა შავ-თეთრმა ფოტოებმა ცხოვრებისეული წარსულიდან ბევრი რამ გამახსენა და მომაგონა. ბავშვობა, სკოლა, ახალგაზრდობა. ზოგიერთმა მათგანმა სევდა, მონატრება და სინანულის გრძნობა დამიტოვა.

ერთ-ერთ ფოტოზე თემურ სალაყაია და მე ვართ აღბეჭდილი. სამწუხაროდ, უკანა გვერდზე თარიღი არ მიმიწერია (ისე, ჩვეულება მაქვს თარიღის მიწერა).

თემურ სალაყაია ხობში ჩამოსვლის შემდეგ გავიცანი და მალევე დავმეგობრდით, თუმცა მანამდეც გამიგია მის შესახებ, ჩემს სოფელში, ახალ ხიბულაში, სადაც მუშაობდა მეურნეობის დირექტორად. სწორედ ხიბულელებისგან მსმენია მისი კაიკაცობის შესახებ. სასიამოვნოა, რომ დღესაც დიდი სიყვარულით იხსენებენ მას. მახსოვს ჩვენი გაცნობის პირველი დღე ხობის გამგეობაში. ბატონი თემური მაშინ სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი იყო. იმ დღიდან სიცოცხლის ბოლომდე შევინარჩუნეთ მეგობრული ურთიერთობა.

მისი გარდაცვალების ავბედით წინა დღეს შემომითვალა, აუცილებლად ბეჟანი მოვიდესო. მე და გოგი ბუკია მაკარიჩი (ასე მიმართავდა მას) მივედით. ბევრი ვისაუბრეთ, მოვიგონეთ, ვიხუმრეთ... ოთახში ვიდეო ჰქონდა დაფიქსირებული, სადაც მისი პატარა შვილიშვილის სახე იყო გამოსახული. გიუდებოდა მასზე, თანაც პირველი შვილიშვილი იყო. ბეჟანი ბიძია (ყოველთვის ასე მომმართავდა) ეს რომ დიდი გოგო იქნება და უმაღლესში ჩაირიცხება, შენ უნდა იყო თამადა ჩემს ოჯახში, მაკარიჩი-ჯალანგარი მოგემსახურებაო, ამაზე ბევრი ვიცინეთ, გვიანობდე შევრჩით, სიგარეტი მოვწიეთ, ბოლოს ნაღვლიანი სახით შემოგვხედა ორივეს და გვითხრა-წადით, ახლა წადითო...

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა.

თემური სალაყაია იყო კაცთმოყვარე, გულთაფლიანი, გულღია ადამიანი. სიყვარულში მან არ იცოდა ზომა, მუდამ მოწესრიგებული, ბუნებით დინჯი, აუღელვებელი, მშვიდი, სიმპატიური... გაცეცხლებული და ბრაზიანი თემური მე არ მახსოვს.

მის დიდ კაცობაზე დღესაც ჰყვებიან ხობელები, სადაც უმუშავნია ხელმძღვანელ თანამდებობებზე, ყველგან სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია, სიმთვრალეც იცოდა კაი-კაცური, ჩვეულება ჰქონდა, როცა ღვინო მოერეოდა, თვალები ერთ ადგილზე გაუშეშდებოდა, მეტყოდა-ბეჟან ბიძია, თვალები? მე ვპასუხობდი, გაყინული თევზივით გაქვს მეთქი, ხარხარებდა... საოცარი მოლხენა იცოდა, მილეთის ამბებს ყვებოდა... გასახსენებელი ძალიან ბევრია, მაგრამ ერთ უჩვეულო საღამოზე მინდა შევჩერდე,_მგონი ის ფოტოც იმ საღამოს არის გადაღებული.

ცოტნეობის ზეიმი გვქონდა, საღამოს ჩამოსული სტუმრები ვახშამზე დავპატიჟეთ მაშინდელი ჩაის ფაბრიკის საბანკეტო დარბაზში. აქ იყვნენ სოფიკო ჭიაურელი, მედეა ჩახავა, ელენე ყიფშიძე, გოგი გეგეჭკორი, ბადრი კობახიძე, სულ 30 ადამიანამდე. თამადობა მე მერგო წილად. თემური ჩემს გვერდით იჯდა, მაშინ ვნახე პირველად თემური „აცეტებული“, ელენე ყიფშიძე გამოიწვია საცეკვაოდ, რა თქმა უნდა, ნელი მუსიკის ფონზე, ვუთხარი „შოთაევიჩ" შენი სილამაზე დაგღუპავს მეთქი.

_იცოცხლე ბეჟანა ბიძია, მე ,,სოხუმჩანელი" ვარ, მოლხენაში, ქეიფში და გემოვნებაშიც არაფერი მეშლებაო, გაბადრულმა მომიგო.

ასეთი საღამოები და ქეიფები უამრავი იყო.

ძალიან მწყდება გული, რომ ასე ადრე წავიდა ჩვენგან სიყვარულის კაცი თემურ სალაყაია. დიდი და ლამაზი ოჯახის ბურჯი, ახალგაზრდა ბაბუა, საუკეთესო მამა, მეუღლე, მეგობარი. შეიძლება თამამად ითქვას, მან გაუხუნარი სახელი, სიყვარული და მონატრება დატოვა ხობელებში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

ბეჭან ნადარაია.

სისუფთავის და სიკეთის ელჩი...
ეთერი (ლამარა) ბერია-გაბისონია

ჩემი სასკოლო მმართველობის პირველი დღეებია, არ არის მარტივი დავალება–თანამშრომლობით, დემოკრატიული ღირებულებებით მართო კოლექტივი, სადაც თანამშრომლები შენი მეზობლები, ახლობლები, თანასოფლელებია. ვცდილობ გავუფრთხილდე ყველას... ბევრისგან ვგრძნობ კეთილგანწყობას. დროთა განმავლობაში ჩამომიყალიბდა ხედვა თითოეულ თანამშრომელზე, მათ ძლიერ და სუსტ მხარეებზე. ყველა შემიყვარდა თავისებურად, მაგრამ ერთი, გამორჩეულად. ადამიანი, რომელიც ყოველ ცისმარე დღეს კეთილი დიასახლისივით მხვდებოდა სკოლის ეზოში. ადამიანი, რომელიც არ უყურებდა იმას, თუ რამდენი იყო მისი ანაზღაურება, ადამიანი, რომელიც გულანთებული შრომობდა... სისუფთავეს მსახურებდა გულმოდგინებით! იფიქრებთ ალბათ - რა იყო მისი მოტივაცია?! - მომავალ თაობაზე ზრუნვა იყო მისი მოტივაცია! სიკეთის კეთება იყო მისი მოტივაცია! ბავშვებისთვის ლამაზი გარემოს შექმნა იყო მისი მოტივაცია! უბრალოდ, მოსიყვარულე ადამიანი იყო ქალბატონი ეთერი! (ლამარა) გვარად ბერია! ნიშნად პატივისცემისა - მეუღლის გვარზე გადასულა... –გაბისონია! დაგინახავდა და გლოცავდა... დაგინახავდა და თავს შემოგავლებდა... იფიქრებდი - თავად ღმერთმა მოუვლინა ეს ადამიანი სკოლას სისუფთავისა და სიკეთის ელჩადო!

ერთ დღესაც დამხვდა და მითხრა - ვერ ვასრულებ სამუშაოს სათანადოდ... ასაკი ალბათ თავისას აკეთებსო... გავუღიმე... გავამხნევე... რამდენიმე დღეში ისევ... იგივე ტექსტით... თვალს ვერ მისწორებდა... უნდა წავიდეო... წავიდა სკოლიდან...

ყოველ დილას პირუტყვს მივერეკები საძოვარზე... მის ჭიშკართან მიწევდა გავლა... ვხედავდი, როგორ შრომობდა ეზოში, ასუფთავებდა მისი სახლის ეზოსგარეთა ტერიტორიას...

–რა იყო, ლამარა დეიდა, მომატყუე?! თურმე რამდენი შეგძლებია, დაგვიბრუნდი-მეთქი! შევეხმიანე.

–არა, შვილო! თუ საქმეს აკეთებ, ისე უნდა აკეთო, რომ გლოცავდნენ! მე კი მოვხუცდი! არ მინდა ვინმეს ცუდად ვახსოვდეო!

ღმერთო! რამხელა შინაგანი კულტურა, პატივისცემა, მოწიწება, სიკეთე, სიყვარული იგრძნობოდა მის სიტყვებში!

ორი კვირის წინ სოფელში ხმა გავრცელდა...

–წავიდა, ქალბატონი ეთერი (ლამარა), წავიდა იქ, სადაც მართალნი განისვენებენო...

–ღმერთმა აცხონოს, კარგი ქალბატონი იყო, ღვთისნიერი ადამიანი... –გაისმოდა სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლის კედლებიდან...

მიყვარს პასუხისმგებლობის გრძნობით სავსე ადამიანები!

უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

კობა კვიკვინია.

გრიგოლ შონია

ჩემი ეგრისი და ჩემი ქართლი

მოთქმა, მოძახილი და მოწიწება

ჩემი ეგრისი და ჩემი ქართლი,
ერთი გვარის და ერთი ტომის ღვიძლი შვილები,
ერთად მოვდივართ გზით სწორით, მართლით,
ერთი დედის და ერთი მამის გამოზრდილები.
დამიგდეთ ყური, ჯარგად დამიგდეთ, მისმინეთ
ჯარგად:
არავითარი ნათესავი–შორეული ან ახლობელი,
ერთი მთვარის და ერთი მზის ქვეშ
ერთ მღვიმესა და საყუდელში დავანებულნი.
არა! ჩვენ არსად გავფანტულვართ,
არც ქვეყნიერებას მოვდებივართ,
ჩვენ ღმერთმა მოგვცა ეს სამოთხე,
შრომით და ბრძოლით აქ დავფუძნდით
და დავიმკვიდრეთ...
ჩვენ აქ ვშრომობდით და აქ ვიბრძოდით
და მომდგარ მომხდურს ვუმკლავდებოდით,
ხშირად ვწყდებოდით,
ყვავ-ყორანი გულ-ღვიძლს გვჯორტნიდა,
ვერაგი მტერი ჩვენს სისხლს წოვდა
და სტამბულის ბაზრისთვის გვტაცებდა
შვილებს...
მაინც ვრჩებოდით აქ, ამ მიწაზე
და უფლის ნებით ჯვლავ ბრძოლისთვის
ვიბადებოდით...
ჩვენმა ღმერთმა, ჩვენმა უფალმა აქ დაგვაფუძნა,
სად ყველაფერი მღერის და გალობს და ჩვენც
ვმღერით,
ხშირად ჭრილობებს ვიშუშებდით,
ჩვენი ტკივილით ცა და მიწა იქუფრებოდა,
მაგრამ ჭირით და უბედობით შეჭირვებულნი
მაინც ვმღეროდით და ვმღერით ახლაც.
რა გამღერებთო?–გვეუბნებოდნენ,
ჩვენ ჯი ვმღეროდით,
იმიტომ, რომ ოდითგანვე ჩვენთან
მუდამ ყველაფერი გალობს და მღერის.
ჩვენ ეს ედემი მოვიპოვეთ სისხლით და გარჯით
და დღესაც ვრჩებით ამ ცას და მიწას
ჩაჭიდებულნი...
ქართლ-ჯახეთი, იმერეთი, გურია და
სამეგრელო, რაჭა, სვანეთი,
ჩვენია, ჩვენი, აფხაზეთიც და სამაჩაბლოც!..
და ფხოველთა გულის ძახილიც:–
„არ გავცვლი სალსა ულდეებსა"
ანდა ჯიდევ:
„როგორც უფალი, სამშობლო, ერთია
ქვეყანაზედა."
ეს შენც გაიგე, ვერაგო რუსო, ყველამ გაიგეთ,
ჩემს მამულს ვინაც ავი თვალით
მოსჩერებიხართ!..
უნდა გაუძლო ჩემო ეგრისო და ჩემო ქართლო,
დღეს ხომ ჭირს ისე, როგორც არასდროს,
სხვაგვარად როგორ გაგაგებინოთ!
ნუთუ ვერ ხედავთ ჩასაფრებულ ბოროტ
სატანას,–
ღმერთის მოქიშპეს, დღეს ვით ცდილობს,
რომ ცოდვებში ჯვლავ ჩაგვიტანოს...
გონს მოუხმეთ და განამტკიცეთ თქვენი რიგები,
ჯვლავ იბრძოლეთ და გაუძელით,
გამაგრდით და იწამეთ ძალა,
სხვანაირად როგორ გითხრათ რომ
ისევ მძლავრობს ჩვენზე მომხდური...
მაშ, სწავლით, ბრძოლით და გაძლებით
წინ და მხოლოდ წინ,
საქართველოს გადასარჩენად.

ელვის ჯვეთება:
„მას დედის ძუძუ ტკბილი
შხამადაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი
ვისაც დაზარებია!.."

ვაჟა ფშაველა–158

ვაჟა ფშაველა და „ქოსების დუქანი"

ვაჟა-ფშაველამ, როგორც თავიანთ მემუარებში წერენ და იგონებენ მისი მეგობარი ბარათმწერლები, საერთოდ წელიწადში ორჯერ იცოდაო მთიდან ბარად ჩამოსვლა. ერთი ახალი წლის წინა დღეებში და მეორედ აღდგომის დასაწყისში. ჯერ გაზეთ „ივერიაში" საქეიფოდ შეივლიდა, თავის ხურჯინს დააცარიელებდა, მერე წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში მიდიოდა და ამის შემდეგ აუცილებელად ქოსების დუქანს ესტუმრებოდა.

მაშინდელ თბილისში დუქნები და სარდაფები ძალიან ბევრი ყოფილა, მაგრამ ვაჟა უპირატესობას მაინც ქოსების დუქანს ანიჭებდა. ვინ იყვნენ ქოსები და სად მდებარეობდა დუქანი? ამას ქვემოთ მოგახსენებთ.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში უფრო მეტად იმიტომ ჰყვარებია მისვლა, რომ იქ წიგნის მაღაზიის გამგედ ვაჟა-ფშაველას მეგობარი მწერალი შიო-მღვიმელი მუშაობდაო.

მწერალი იგონებს: „ერთხელ, საღამოს, როცა მე და ვაჟა ვბრუნდებოდით წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებიდან (მე იქაც ვმსახურობდი) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად მდებარე ღვინის სარდაფში დაგვპატიჟა სცენისმოყვარე მსახიობმა გიორგი ხუციშვილმა, როცა ვაჟამ ღვინოს სუნი და გემო გაუსინჯა, იკითხა: ვისი ღვინოაო? იქვე დახლთან მდგომმა ორმა ახალგაზრდამ უპასუხა–ჩვენიო.

–ყოჩაღ ქოსებოო!–უთხრა ვაჟამ და გადაჰკრა მოწონებული ღვინო. სარდაფის პატრონები მოსე და გიორგი ხელაშვილები მართლაც სრულებით უწვერულვაშო ბიჭები იყვნენ. ის-ის იყო მათ ახლად დაეწყოთ ღვინით ვაჭრობა. ვაჟას კითხვისა და პასუხის შემდეგ ხელაშვილებს დაერქვათ „ქოსები."

ვაჟას თავისი სამეგობრო ვიწრო წრე ჰყოლია, რომლებთანაც ქეიფი ჰყვარებია. ესენი იყვნენ ივანე ბუქურაული, შიო მღვიმელი, ნიკო კურდღელაშვილი (ნარკანი), იროდიონ ევდოშვილი (ხოსიტაშვილი), რ. ბებიაშვილი, ვეფხო კავკასიძე (მღვდელი), სიმონ დიაკონი (ტყემალაძე), ვალერიან გუნია, დავით პავლიაშვილი (ნაპალეონი).

მწერალი სანდრო შანშიაშვილი აღნიშნავს: „დავით პავლიაშვილმა (ნაპალეონი) ერთხელ მახარა, რომ ვაჟა ჩამოვიდა და დღეს საღამოზე „ქოსებთან" დაგიბარაო.

ქოსები იყვნენ ძმები–გიორგი და მოსე ხელაშვილები. ვორონცოვის ხიდთან მათ კარგი სარდაფი ჰქონდათ. ქოსების სარდაფი კარგად იყო ცნობილი, აქ თავი შეუფარებია მრავალ რევოლუციონერს, ეს იყო ერთგვარი „საპაემანო" პუნქტი რევოლუციონერებისთვის: ძმები ხელაშვილები იყვნენ დიდი კონსპირატორები, ამავე დროს ქართველი მწერლები, არტისტებისა და საერთოდ ქართველი მოღვაწეების დიდი თაყვანისმცემლები.

ზოგიერთი მემუარისტი „ქოსების" ნათლიად ი. ჭავჭავაძეს მიიჩნევს, მაგრამ ამაზე საკმაოდ დასაბუთებული არგუმენტი მოჰყავს მკვლევარ გიორგი გაბუნიას, სადაც წერს:

„ჩვენს ხელთ არსებული მასალები აშკარად მოწმობენ, რომ სირაჯი ძმები ქოსებად სინამდვილეში მოუნათლავს არა ილიას, არამედ ვაჟა-ფშაველას, უტყუარი სარწმუნო წყაროდ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს თავად ერთ-ერთ სირაჯი ძმის–გიორგი ხელაშვილის პატარა მოგონება:

„ერთხელ ჩვენთან მოიყვანეს ვაჟა-ფშაველა. მას მოჰყვნენ სანდრო რაზიკაშვილი, ვანო ბუქურაული და სხვები.

ვაჟა ჩვენით დაინტერესდა გამოგვკითხა ვინაობა, ვუთხარით, რომ ჩვენ ქიზიყიდან ვართ, ქალაქში სამიკიტნოში ვიყავით მოჯამაგირედ, რამდენიმე წლის შემდეგ კი საკუთარი საქმე დავიწყეთ, რომ ჩვენ ასეთი ახალგაზრდები ასე გონივრულად ვუძღვებოდით საქმეს. მან ამხანაგებს უთხრა: არა, ესენი მეტი ხნისანი იქნებიან, ალბათ, ქოსები არიან, წვერ-ულვაში რომ არა აქვთო. ამის შემდეგ ჩვენ შეგვერქვა „ქოსებიო". ერთმა ძმათაგანმა მოსემ, უფროსი შვილი ვახტანგი ვაჟას მოანათვლინა. (წიგნიდან „კაიყმა" გვ. 178-179).

ასე შემორჩა ხელაშვილების „ქოსების" დუქანი ისტორიას.

ბეჟან ნადარაია.

დღის კარიკატურა

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ- საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, როზეტა შულაია, ბორის ბერაია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია. კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 0 (414) 22-21-31; 22-25-81; 599-50-40-57; 577 21-41-44.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში". თბილისი, რკინიგზის ჩიხი№20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.